# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№148 (9828) 2024 წლის 23 დეკემბერი, ორშაბათი.

ფასი 1 ლარი

# ფართოდ გაახილეთ თვალები მოტყუებულო და გაბრიყვებულო ქართველებო!!!




გუშინ, საღამოს ათ საათზე, რუსთაველის „დაწყევლილ“ გამზირზე ვადაგასულმა, თვითმარქვია პრეზიდენტმა რამდენიმე წუთით თავისთვის დამახასიათებელი სისულელეები წამოროშა და ბოლოს თქვა: „მე დავრჩები როგორც ჯარის და ხალხის მთავარსარდალი, ვიქნები ყველას პრეზიდენტი და გამარჯვებას ერთად მოვიპოვებთო“... ხელისუფლებას კი დაემუქრა და 6 დღე მისცა ვადად (29 დეკემბრამდე) ახალი არჩევნების გამოსაცხადებლად.

ამ დროს მიკროფონი გაითიშა. ხუთიოდე წუთის შემდეგ ბრინჯივით დაბნეულმა და ფსიქიკურად არეულმა პრეზიდენტმა მეგაფონით გამოაცხადა: „ხვალ საღამოს ორბელიანების სასახლიდან მოგმართავთო“.

ერის მოღალატე რეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბოლომდე გამოწვევაზე მიდის და არ აპირებს პრეზიდენტის სასახლიდან გამოსვლას.

ფართოდ გაახილეთ თვალები მოტყუებულო ქართველებო! თუ ასე გაგრძელდა, ყველა იურიდიული ნორმის დაცვით საქართველოს ხელისუფლება უღირსი, ზნედაცემული, რადიკალური ოპოზიციის დღევანდელ ლიდერს, მის უდიდებულესობა სალომეას მიხა სააკაშვილს მიუსვამენ (იქნებ, მიუწვენენ კიდეც!) გვერდით და გაერთიანებული ნაცმოძრაობის მხარდამჭერები და განსაკუთრებით ქართველი ხალხის აშკარა უმრავლესობის სიტყვითმკვლელი „პანდორას ყუთები“, ბოლომდე გაყიდული ოპოზიციური ტელეკომპანიები პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩებიან!

„ოცნებას“ არჩევნები არ გაუყალბებია! ახალი არჩევნები მხოლოდ 4 წლის შემდეგ იქნება! ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიების დეპუტატები (მთელი 61 კაცი) პარლამენტში შებრძანდით, თქვენს ამომრჩეველს ბოდიში მოუხადეთ და ქვეყნისთვის ოდნავ მაინც სასარგებლო საქმე აკეთეთ!

წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც მოგივიდეთ, საკუთარ თავს დააბრალეთ!

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოზულია**

## პრემიერ-მინისტრი: ვნახოთ, სად გააგრძელებს ცხოვრებას სალომე — გისოსებს მიღმა თუ გისოსებს გარეთ?!

დონალდ ტრამპმა აღნიშნა, რომ მისი მიზანია აშშ-ის სტრუქტურების გათავისუფლება „დიფ სთეითისგან“, ყველანაირი ნარჩენისგან, თუ ამას გააკეთებს, ეს პირდაპირ დადებითად აისახება საქართველოს ინტერესებზე, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

იხ. მე-2 გვ.



## ისევ „გაქცერდა“ მილიარდერ მიხეილ ლომთაძის გვარი...

2

## ბრმა და ყრუ ოპოზიციას არ წააკითხოთ!

**დავით ქართველიშვილი:**

ამერიკაში ამ დღეებში ტრამპს, ორბანს, ილონ მასკსა და ნაიჯერ ფარანჯს შორის საიდუმლო სერობა შედგა... დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, რაც საქართველოზეც პოვებს ასახვას



3



5

## აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე — ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება



## პრემიერ-მინისტრი: ვნახოთ, სად გააგრძელებს ცხოვრებას სალომე — გისოსებს მიღმა თუ გისოსებს გარეთ?!

**როგორც ირაკლი კობახიძემ გუშინ აღნიშნა, მთავარია ის, თუ რას გააკეთებს დონალდ ტრამპი და არა ის, თუ რას გააკეთებს რომელიმე კონკრეტული სხვა პოლიტიკოსი.**

რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით ამ სამი წლის განმავლობაში აქტიურად, პრაქტიკულად, ამაზე უკვე ტრამპის ადმინისტრაციის მომავალი წევრები საუბრობენ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პრემიერმა გამოთქვა იმედი, რომ „დიფ სთეითის" პრობლემა სრულად დაიძლევა.

**ხელახალი** არჩევნები შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცესკო ან სასამართლო, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლო არჩევნების შედეგებს გააბათილებს!

პრემიერის თქმით, ცესკომ შეაჯამა არჩევნების შედეგები, საკონსტიტუციო სასამართლომაც დაადასტურა არჩევნების ლეგიტიმურობა, შესაბამისად, ხელახალი არჩევნების დანიშვნის საფუძველი არ არსებობს!

„რაც შეეხება არჩევნების დანიშვნას, აქ სამართლებრივად მარტივად არის საქმე, არჩევნების დანიშვნას აქვს სამი კონკრეტული საფუძველი ჩვენი კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მიხედვით. რაც შეეხება ხელახალ არჩევნებს, ხელახალი არჩევნები შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცესკო ან სასამართლო, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლო არჩევნების შედეგებს გააბათილებს. თქვენ იცით, რომ ცესკომ შეაჯამა არჩევნების შედეგები, სასამართლოშიც განხილული იქნა ყველა საჩივარი. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა თავად სალომე ზურაბიშვილმა, ოპოზიციურ პარტიებთან და ენჯეოებთან ერთად და საკონსტიტუციო სასამართლომაც დაადასტურა არჩევნების ლეგიტიმურობა. შესაბამისად, ხელახალი არჩევნების დანიშვნის საფუძველი არ არსებობს ჩვენი კონსტიტუციის და კანონმდებლობის თანახმად. რაც შეეხება მორიგ არჩევნებს, მორიგი არჩევნები ინიშნება მას შემდეგ, რაც პარლამენტს ამოეწურება ოთხწლიანი ვადა. ცხადია, რომ ეს საფუძველიც არ არსებობს. რიგგარეშე არჩევნები კონსტიტუციის თანახმად ინიშნება ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტი ნდობას არ უცხადებს მთავრობის შემადგენლობას. როგორც მოგეხსენებათ, პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობის შემადგენლობას, შესაბამისად, ეს მესამე საფუძველიც არ არის სახეზე. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის შესაბამისი განცხადება იქნებოდა სრულიად კომიკური, თუმცა კომიკურთან ერთად ეს იქნებოდა სისხლის სამართლის დანაშაულიც. სისხლის სამართლის კოდექსში არის შესაბამისი ჩანაწერები, რომლებიც ასეთი ქმედებისთვის ითვალისწინებს მრავალწლიან სასჯელს, თავისუფლების აღკვეთის სახით, ვიღაც ჭკვიანმა ურჩია სალომე ზურაბიშვილს, ეს არ გაეკეთებინა, მან საბოლოო ჯამში, ითხოვა ერთი დღე, დღეს 21:00 საათამდე და კიდევ აქვს მოსაფიქრებელი დრო ამისათვის. ვნახოთ, ვინ გადაწონის, ვიღაც ჭკვიანი თუ სალომე ზურაბიშვილი, რომელიც არ არის ვიღაც ჭკვიანი. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ „დიფ სთეითი" არ ჩერდება, თუმცა, ხელისუფლება ბოლომდე მიიყვანს დაწყებულ საქმეს და არა მხოლოდ სახელმწიფოს დაიცავს, არამედ, სისტემასაც ბოლომდე გაწმენდს აქაური „დიფ სთეითის" ნარჩენებისგან, ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა ქართული სახელმწიფოს და ჩვენი საზოგადოების წინაშე", — განაცხადა პრემიერმა.

„**მართალია,** ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსი და ჩინოვნიკი აცხადებს, რომ 29 დეკემბრამდე კიდევ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, მაგრამ გარწმუნებთ, რომ არავითარი ბევრი რამ 29 დეკემბრამდე არ მოხდება, „დიფ სთეითი" საქართველოში ვერ გაიმარჯვებს, რადიკალური ოპოზიცია ვერ გაიმარჯვებს, შესაბამისად ვერავითარი სერიოზული გეგმა რადიკალური ოპოზიციის მხრიდან, მათ შორის სალომე ზურაბიშვილის მხრიდან, რა თქმა უნდა ვერ იქნება წარმოდგენილი. 29-ში მას მოუწევს თანამდებობის დატოვება, ვნახოთ, სად გააგრძელებს ის ცხოვრებას, გისოსებს მიღმა თუ გისოსებს გარეთ. მე მგონია, რომ მას ეყოფა გონიერება იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები", — განაცხადა პრემიერმა.



მიხეილ ლომთაძე

## ისევ „გაჟღერდა" მილიარდერ მიხეილ ლომთაძის გვარი ქართულ პოლიტიკაში?

## მესამე ძალა თუ ჯანსაღი ოპოზიცია?!

**ეუთო/ოდირის დასკვნა ადასტურებს, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იყო თავისუფალი და კონკურენტული. ეს დასკვნა იმეორებს იმ დასკვნას, რაც ეუთო/ოდირმა არჩევნების შემდეგ გამოაქვეყნა. რა თქმა უნდა, დასკვნის ის ნაწილი, სადაც საუბარია, რომ არჩევნები არ გაყალბებულა, რადიკალებმა განსხვავებულად წაიკითხეს და აღნიშნეს, რომ დასკვნა „უკიდურესად უარყოფითია".**

„მინდა, მადლობა გადავუხადო ეუთო/ოდირს. ნახეთ, როგორი მძიმე რეაქცია ჰქონდა ოპოზიციას საქართველოში ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ვიზიტზე, იხილეთ აგრესიული თავდასხმები ალენ ბერსეს მიმართ. ჩვენ ველოდებით კიდევ ერთხელ ასეთ აგრესიულ თავდასხმას ეუთო/ოდირის მიმართ. ეს დასკვნა იმეორებს იმ დასკვნას, რომელიც წარმოდგენილი იქნა არჩევნების შემდეგ და მაშინ ამ დასკვნამ გამოიწვია დიდი გაღიზიანება რადიკალურ ოპოზიციაში, რა თქმა უნდა, ველოდებით ასეთივე გაღიზიანებას ამ შემთხვევაშიც", — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

24-დღიანმა საპროტესტო აქციამ აჩვენა, რომ საქართველოში რადიკალური ოპოზიცია არის გაკოტრებული. შესაბამისად, წარმოუდგენელია იმ პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობა, რომელიც სახელმწიფოში აწყობს სახელმწიფო გადატრიალებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალი პოლიტიკური ძალის შემოსვლა, რომელიც იქნება მმართველი გუნდის რეალური და ამავე დროს კონსტრუქციული ოპოზიცია. რადიკალებმა იციან, რომ პოლიტიკური ველი დაკარგეს და სწორედ ამაზე იყო მსჯელობა „ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალურ ოფისში.

როგორც ჩვენი წყარო აცხადებს, შეხვედრაზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა **კობა ნაყოფიამ** თქვა, რომ პოლიტიკურ ველზე შემოდის ყაზახეთში მოღვაწე ქართველი მილიარდერი **მიხეილ ლომთაძე,** რაზეც ინფორმაცია რუსეთის ხელისუფლებიდან აქვს და დასძინა, რომ რუსეთის ხელისუფლების იმ შტოსთვის, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას" ლობირებს, ამ ეტაპზე უცნობია, როგორია ბიძინა ივანიშვილის პოზიცია მილიარდერის პოლიტიკაში შემოსვლასთან დაკავშირებით. რადიკალები ახლა იმაზე მსჯელობენ, ვინ ლობირებს მილიარდერის პოლიტიკაში შემოსვლას და როგორია ივანიშვილის პოზიცია.

რაც შეეხება მიხეილ ლომთაძეს, ადრე ვწერდით, რომ გაკოტრებულ ოპოზიციას ახალი პოლიტიკური ძალა ჩაანაცვლებდა და ეს იქნებოდა ყაზახეთში მოღვაწე ქართველი მილიარდერი მიხეილ ლომთაძე, რომელმაც შესაძლოა, პროცესებში პირადად არ მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ პოლიტიკური და მედიაპროექტი განახორციელოს. ანალიტიკოსების შეფასებით, იმ ფონზე, როდესაც ოპოზიციური პოლიტიკური ველი ცარიელია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ველის შევსება.

**პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ირაკლი გოგავა:**



„ვცხოვრობდით იმ პარადიგმაში, როდესაც გარე მართვაზე იყო სახელმწიფო. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გადიოდა უცხოეთის რევიზიას, ან მოდიოდა უცხოეთიდან. ამიტომ ვართ მსოფლიო მასშტაბით მაჩანჩალები ეკონომიკაში. ახლა, რახან უფრო მეტი სუვერენიტეტი იქნა მოპოვებული, ეს ხელისუფლება თუ დაიწყებს ახალი ქართული პროექტის — საქართველოს სახელმწიფოს განვითარების კონცეფციის შექმნას, იმ მიზნით, რომ ეს განხორციელდეს, რა თქმა უნდა, საქართველოში პოლიტიკურ რეალობას და ლანდშაფტს შეცვლის.

აქამდე მიდიოდა ბრძოლა იმაზე, რომ დასავლეთისთვის ეჩვენებინათ, ვინ უფრო უკეთესად ემსახურება მათ და ლეგიტიმაციას იქ ეძებდნენ. ახლა წავა პროფესიული სჯა-ბაასი — რა სჯობია, რომელი საწარმოს სად დადგმა სჯობია, რომელი წიაღისეულის როგორ დამუშავება და ა.შ. რაც უკვე პატრიოტების და პროფესიონალების საქმეა. თუ ასეთი პარადიგმა და ლანდშაფტი შეიქმნა, მაშინ, რა თქმა უნდა, ახალი ჯანსაღი ძალები უნდა გაჩნდნენ. თუ ისევ დარჩნენ ვაშინგტონის კონსენსუსის დამღუპველ პარადიგმაში, მაშინ აზრი არ აქვს აქ პოლიტიკას. ასეთია რეალობა", — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ირაკლი გოგავა.

**ანალიტიკოს ედიშერ გვენეტაძის** შეფასებით, ოპოზიცია რომ არ იყოს, უნდა გამოიგონო. ეს აუცილებელია გამოფხიზლებისათვის.



„ოპოზიცია რომ არ ჰყავს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, იმიტომ დაადგა კარგი დღე. ეს ემართება ყველა იმ სახელმწიფოს, სადაც ერთპიროვნული და ავტოკრატული მმართველობაა. აუცილებლად შეიქმნება ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც იქნება ხელისუფლების ოპოზიცია. ეს ოპოზიცია ვერ მოითმენს იმ თავისუფალ ველს, რომელიც დღეს ქართულ პოლიტიკაში ოპოზიციისთვის არის შექმნილი. დღეს საქართველოში ოპოზიცია არ არსებობს.

ჩვენ გვყავს ოპოზიცია, რომელიც ფულის გამო წამსვლელია ყველაფერზე. ჭაჭანაჭამი ინდაურებივით დადიან რუსთაველზე. ეს პროცესები ძალიან საშიშია ქვეყნისათვის. როდესაც ქვეყანას ემუქრება ასეთი საფრთხე და როდესაც ამ საფრთხის წინაშე მას აყენებენ ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენლები, როგორც ერთი-ერთი მოქალაქე, მოვითხოვ ამოქმედდეს მუხლი ღალატის შესახებ. ამიტომ ამ პოლიტიკური ძალის ადგილას აუცილებლად საჭიროა ქვეყნის წინსვლაზე ორიენტირებული ოპოზიცია, რომელიც რომც არ გვინდოდეს, აუცილებლად შეიქმნება", — ამბობს for.ge-სთან საუბრისას ედიშერ გვენეტაძე.

**ანალიტიკოს თემურ მაისურაძის** შეფასებით, ახლა არის სრული ვაკუუმი ამ მიმართულებით და დღეს, როდესაც უკვე გასაგებია საით მიდის „ნაციონალური მოძრაობა" და ზოგადად, მთელი ეს შემადგენლობა, გამოჩნდა, ვინ და რა არიან, სწორედ ახლა არის შესაძლებელი,



გამოვიდეს ალტერნატიული ხედვის ახალი პოლიტიკური ძალა.

„არა ის, რომ ევროპაში ვინ უფრო ჩქარა და ვინ უფრო ღირსეულად წავა ან — „თუ ევროპაში არ მიდიხარ, რუსეთში მიდიხარ", არამედ გამოვიდეს ძალა, რომელსაც ექნება საჭირო, რეალური პოლიტიკის ხედვები. მხედველობაში მაქვს ის, რომ დღეს არის სუვერენული საქართველოს ადგილი სწორედ ოპოზიციურ სპექტრში და პოლიტიკურ ველზე. ძალიან მნიშვნელოვანი ეპოქაა და მნიშვნელოვანია ასეთი ძალა შეიქმნას. ძალიან სერიოზული რესურსი არსებობს. არიან ადამიანები, რომლებმაც იციან, რა არის პოლიტიკა და რომლებიც არ მიემხრობიან არც ე.წ. ევროპულ მიმართულებას და არც ე.წ. რუსულ მიმართულებას. ადამიანები, რომლებსაც რეალურად ესმით საქართველოს მომავალი. ასე რომ, ასეთი რესურსი არსებობს და საკმაოდ სერიოზული", — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას თემურ მაისურაძე.

**ბლოგერი ლევან ადეიშვილი:**

„როდესაც დეკოლონიზაციას ვიწყებთ, ჩვენ უნდა გადავიდეთ განვითარების და წინსვლის ახალ გზაზე. ქვეყნის შენება უნდა დავიწყოთ ნულიდან. ამიტომ ის მოცემულობა, ფიგურები და ის განლაგებები, რაც ივანიშვილმა დაალაგა ქართულ პოლიტიკურ დაფაზე და როგორც გამოჩნდა, აძლევდა მას საშუალებას, შეენარჩუნებინა ხელისუფლება და საქართველო მეტ-ნაკლებად მისულიყო ასეთი ახალი ფანჯრის გახსნის გზაზე, დაახლოებით ისეთი იყო, როგორიც იყო საბჭოთა კავშირის დაშლა. მაგრამ ეს რადიკალური ოპოზიცია აღარ გამოადგება ქვეყნის მშენებლობისთვის. ამიტომ ეს ძველები გადასახარისხებელია და ახალი ძალებია შემოსაშვები პოლიტიკურ ველზე. ივანიშვილმა უნდა გაანთავისუფლოს ეს ფლანგი, უნდა შეასრულოს მისი დაპირება. დღეს გარე და შიდა პოლიტიკური ფაქტორები ემთხვევა ხალხის განწყობას. პიარსატელიტები კი არ შემოუშვას, როგორიც არის „ხალხის ძალა" რომელიც გამოეყო „ქართულ ოცნებას". უნდა შემოუშვას ახალი ძალები, ახალი ხედვებით. მინიმუმ, პატიოსნები, ინტელექტუალები, თავისი საქმის მცოდნეები და პროფესიონალები", — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ლევან ადეიშვილმა.

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

# ბრმა და ყრუ ოპოზიციას არ წააკითხოთ!

**დავით ქართველიშვილი:**

## ამერიკაში ამ დღეებში ტრამპს, ორბანს, ილონ მასკსა და ნაიჯელ ფარაჯს შორის საიდუმლო სერობა შედგა... დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, რაც საქართველოზეც პოვებს ასახვას



**ზარი და ვიზიტი ევროპიდან „ქართულ ოცნებასთან“ და მის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან. დაიძრა თუ არა დასავლეთიდან პოლიტიკური ყინული და რას უკავშირდება 26 ოქტომბრის არჩევნებიდან ერთ კვირაში პარიზიდან, საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის ზარი ივანიშვილთან და ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ალენ ბერსეს 4-დღიანი ვიზიტი საქართველოში? უნდა ველოდოთ თუ არა უახლოეს მომავალში კიდევ მნიშვნელოვან ვიზიტებს ან ზარს ევროპიდან? ივანიშვილი და მაკრონი შეთანხმდნენ, რომ მომდევნო დღეებში კვლავ შედგება კონტაქტი და შეფასდება მიღწეული პროგრესი, შესაბამისად მაკრონის ზარი ივანიშვილთან კვლავ მოსალოდნელია. თუმცა კონკრეტულად რაზე ისაუბრეს ივანიშვილმა და მაკრონმა, ამას არც ერთი მხარე არ ასაჯაროვებს.**

**თბილისში კი 20 დეკემბერს თითქმის ერთსაათიანი პრესკონფერენციით შეაჯამა ევროსაბჭოს გენმდივანმა საქართველოში ვიზიტი. მანამდე კი დილით, უკვე მეორედ, პრემიერ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს, მთავრობის კანცელარიაში შეხვდა. საუბარი, დაახლოებით, 1 საათს გაგრძელდა. ალენ ბერსემ საქართველოში პრობლემები რამდენიმე მიმართულებით დაინახა: ფუნდამენტური უფლებები, დემოკრატია და კანონმდებლობა. ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა წასვლამდე რამდენიმე მთავარი გზავნილიც დატოვა, მათ შორის, მკვეთრად თქვა, რომ საქართველოს ადგილი არის ევროპაში. თქვა ისიც, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი და პოლარიზაციაა, რისი მოგვარებაც მისი აზრით, მხოლოდ დიალოგს შეუძლია, რომელშიც ყველა მხარე უნდა ჩაერთოს - როგორც მთავრობა, ისე ოპოზიცია. ევროსაბჭოს გენერალური მდივანი სტრასბურგში ხელისუფლებისგან გაცემული პირობებით ბრუნდება.**

ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ჩამოსვლა პრემიერ-მინისტრისთვის ევროსაბჭოს მხრიდან საქართველოს და მისი მოქალაქეების მიმართ მხარდაჭერაა. ირაკლი კობახიძის თქმით, მან ალენ ბერსეს ყველა ის ინფორმაცია მიაწოდა, რომელიც მაღალი რანგის სტუმარს აინტერესებდა.

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა პრემიერისგან კიდევ ერთი პირობა მიიღო – უახლოეს მომავალში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონში ცვლილებების განსახორციელებლად დისკუსია დაიწყება. სპეციალური სამუშაო ჯგუფი, სავარაუდოდ, 1 თვის ვადაში ჩამოყალიბდება. წინასწარ ცნობილია მხოლოდ ის, რომ პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან ვენეციის კომისიის ექსპერტებიც.

ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ვიზიტი საქართველოში საკმაოდ დატვირთული იყო. ის სამი დღის განმავლობაში ხვდებოდა ყველას, როგორც მთავრობის, ისე ოპოზიციისა და მესამე სექტორის წარმომადგენლებს, შეხვედრები გაიმართა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარესთან, სახალხო დამცველთან და აქციებზე დაშავებულ მოქალაქეებთანაც.

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი for.ge-სთან ამბობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება ამ დღეებში მსოფლიოში, რომელიც გავლენას ასევე საქართველოზეც მოახდენს და ეს პროცესი, ფაქტია, უკვე დაწყებულია. ქართველიშვილი მიიჩნევს, რომ მაკრონის ზარი და 1-საათიანი საუბარი ბიძინა ივანიშვილთან, ასევე ევროსაბჭოს გენმდივნის საქართველოში ვიზიტი მეტყველებს იმაზე, რომ ევროპაში დიდი ცვლილებები იწყება.

„ამერიკაში ამ დღეებში შედგა საიდუმლო სერობა იმ ლიდერებს შორის, რომლებმაც ხვალინდელი მსოფლიო უნდა ჩამოაყალიბონ და პროცესები მართონ. ძალიან საინტერესო შეხვედრა შედგა დონალდ ტრამპს, ვიქტორ ორბანს, ილონ მასკსა და ბრიტანეთის ამომავალ პოლიტიკურ ვარსკვლავს ნაიჯელ ფარაჯს შორის, რომელიც, შესაძლოა, დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერი გახდეს. ამიტომ დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი მსოფლიოს დიდ მოთამაშეებს შორის და საქართველოზეც ეს ყველაფერი სერიოზულ ასახვას პოვებს. ეს სიტუაცია რაც ახლა ჩვენთან ხდება, სწორედ ამ დიდი თამაშის აჩრდილია და, რა თქმა უნდა, ამ მოთამაშეებისთვის საქართველოს ფლობა კავკასიის ფლობას ნიშნავს. შესაბამისად, არ ისვენებენ მანამ, სანამ ამის შესაძლებლობა ჯერ კიდევ აქვთ. თუმცა, როგორც აღვნიშნე, დიდი მოძრაობაა უკვე დაწყებული. ამას ევროპაშიც ხვდებიან, ამიტომ მგონია, რომ მაკრონის ზარი ბიძინა ივანიშვილთან და ევროსაბჭოს გენმდივნის ვიზიტი საქართველოში, სწორედ ევროპაში მყოფი პრაგმატული პოლიტიკოსების ნაბიჯებია. იქაც კარგად ხვდებიან, რომ ბევრი რამ შეიცვლება, ამიტომ საქართველოში ეს პოლიტიკური კრიზისი დიდი ხნით ვერ გაგრძელდება. ფაქტია ისიც, რომ დასავლეთი თითქმის ორად გაიყო და უმეტესობა მათგანმა დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ საქართველოში რეალობა სრულიად სხვაა, ვიდრე მათ ოპოზიციის და ენჯეოების მხრიდან მისდით. ამიტომ მაკრონიც კიდევ ერთხელ დარეკავს და შესაძლოა, ეს ასევე, არ იყოს ბოლო ზარი. ასევე, მოსალოდნელია გენმდივნის ვიზიტის შემდეგ სხვა მნიშვნელოვანი პირების ვიზიტიც“, – ამბობს ქართველიშვილი.

**მისივე თქმით, ევროპაში ხედავენ, რომ დასავლეთის პოლიტიკური ტრანსფორმაციის და გადატვირთვის პოლიტიკის რეალური მზადება მიდის. ამიტომ ამას, დიდი ალბათობით, ხედავს გამოცდილი შვეიცარიელი პოლიტიკოსი ალენ ბერსე, რომელიც 3 დღის განმავლობაში საქართველოში არსებულ სიტუაციას სწავლობდა. ამის შემდეგ კი მან განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული კრიზისი უნდა დასრულდეს, რაც ოპოზიციის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასია.**

„დონალდ ტრამპთან ჩატარებული მნიშვნელოვანი შეხვედრის შემდეგ, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი, ვიქტორ ორბანმა პირდაპირ განაცხადა, რომ ბრიუსელის ტრანსფორმაცია იწყება და ევროკავშირის პოლიტიკის გადახედვა და ცვლილებები მოხდება. არ შეიძლება და შეუძლებელია ამას არ ხედავდნენ ევროპის პოლიტიკურ წრეებში. ნაწილი წარმოადგენს პრაგმატულ პოლიტიკოსებს, ხოლო ნაწილი აგენტოკრატების მარიონეტი და ლაქია ძალები არიან. მიდის ბრძოლა მათ შორის გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, რუმინეთში, ევროკავშირის ძალიან ბევრ ქვეყანაში.

საქართველოსთან მიმართებით ჩვენ ვხედავთ ამ დიდი ევროპული ბრძოლის მხოლოდ ნაწილს და ძალიან კარგად ვხვდებით, რა დონის და კლასის მხარდამჭერები ჩამოდიან ქართულ ოპოზიციასთან. ესენი არიან, მესამე, მეოთხე და მეხუთე დონის ევროპარლამენტარები. „ოცნებას“ კი მხარდაჭერას უცხადებს ევროსაბჭოს მოქმედი პრეზიდენტი **ვიქტორ ორბანი.** ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ალენ ბერსე, რომლებიც არაორაზროვნად გამოხატავენ გზავნილს, რომ საქართველოში არჩევნებიც შედგა და მას ლეგიტიმური ხელისუფლებაც ჰყავს. როგორც ალან ბერსემ განაცხადა, ის კიდევ ერთხელ დარწმუნდა იმაში, რომ მოქმედ ხელისუფლებას ევროინტეგრაციის მისამართით არაფერი შეუცვლია. რა რეაქციაც გამოიწვია მისმა შემაჯამებელმა ბრიფინგმა ოპოზიციაში, ვფიქრობდი, მე ვარ „ჩელიაბინკსში“ თუ ჩვენი ვითომ პროდასავლური ოპოზიცია? მსგავსი აგრესიული ანტიდასავლური რიტორიკა მე არ მინახავს“, – ამბობს ქართველიშვილი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

---

# „ქართული“ დიპლომების არაღიარებაო! — რა სიბრიყვეა!



## ლაშა მარგიშვილი — EQAR-ში რეგისტრაციის გაუქმება საქართველოში გაცემული დიპლომების კვალიფიკაციის აღიარებას, გაცვლითი პროგრამების გაუქმებას ან საერთაშორისო გრანტების შეჩერებას არ უკავშირდება

**განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა მარგიშვილის განცხადებით, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ რეესტრში ცენტრისთვის რეგისტრაციის გაუქმება საქართველოში გაცემული დიპლომების კვალიფიკაციის აღიარებას, გაცვლითი პროგრამების გაუქმებას ან საერთაშორისო გრანტების შეჩერებას არ უკავშირდება.**

მარგიშვილის განმარტებით, რეგისტრაციის შეჩერება უკავშირდება ENQA-ს მიერ ცენტრის დამოუკიდებლობის თაობაზე სტანდარტთან შეუსაბამობის დადგენას.

„მინდა, დავამშვიდო საზოგადოება, სტუდენტები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას არანაირად არ უკავშირდება საქართველოში გაცემული დიპლომების კვალიფიკაციების აღიარების საკითხი. ცენტრი წარმოადგენს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრის ENQA-ს წევრ ორგანიზაციას 2019 წლიდან. ასევე, 2019 წელს ცენტრი ასევე გახდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის, ENQA-ს წევრი. 2023 წელს განათლების ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა გაიარა მორიგი შეფასება ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების. 11 სტანდარტთან მიმართებით ცენტრი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 2 სტანდარტთან მიმართებით – ეს ეხება ცენტრის დამოუკიდებლობას და ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოების საქმიანობას, საერთაშორისო პარტნიორებმა შეგვაფასეს როგორც ნაწილობრივ შესაფერისი. ამის შემდეგ, ENQA-ს შეფასების კომიტეტმა და ENQA-მა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ერთ-ერთ სტანდარტში, დამოუკიდებლობის ნაწილში, ცენტრი შეფასებულიყო როგორც – „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“. აღნიშნულ გადაწყვეტილებას არავითარი გავლენა არ აქვს დიპლომების და კვალიფიკაციის აღიარების საკითხთან.

როგორც 2019 წლამდე იყო საქართველოში გაცემული დიპლომები აღიარებული საერთაშორისო დონეზე, კვლავ იმგვარად იქნება აღიარებული ჩვენი დიპლომები. გუშინ ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურმე ENQA-ის გადაწყვეტილება რამენაირად უკავშირდება საერთაშორისო ერთობლივი გაცვლითი პროგრამების გაუქმებას, ბოლონიის პროცესში საქართველოს წევრობის შეჩერებას, კერძო უნივერსიტეტების გაუქმებას, საერთაშორისო გრანტების შეჩერებას – არც ეს არის სწორი ინფორმაცია. ჩამოთვლილთაგან არცერთს არ უკავშირდება ცენტრისთვის ENQA-ში რეგისტრაციის შეჩერება“, – განაცხადა მარგიშვილმა.

**ცნობისთვის:** საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ რეესტრში (ENQA) რეგისტრაცია ოფიციალურად შეუჩერდა. რეგისტრაციის შეჩერება ENQA-ის ოფიციალურ ვებგვერდზეა ასახული. ENQA-ის ვებგვერდის თანახმად, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აქტივობები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პრინციპების (ENQA) ფარგლებში მოიცავდა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ერთობლივი პროგრამების აკრედიტაციას, უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების ავტორიზაციას (ან ხელახლა ავტორიზაციას) და ევროპულ მიდგომას ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველსაყოფად.



# ჭეშმარიტება ერთადერთია და ის 1220000 ამომრჩევლის მხარეზეა!

## შალვა პაპუაშვილი:

## ეუთო/ოდირის დასკვნა აბსოლუტურად შეესაბამება „ქართული ოცნების“ შეფასებებს!

**საპარლამენტო არჩევნების შესახებ ეუთო/ოდირის მიერ მომზადებული საბოლოო ანგარიშის ძირითადი დასკვნები, რომლებიც, როგორც მოსალოდნელი იყო, შეესაბამება „ქართული ოცნების“ შეფასებებსა და კონკურენტული და თავისუფალი არჩევნების კრიტერიუმებს. მნიშვნელოვანია, რომ ეუთო/ოდირის მისია მზადყოფნას გამოთქვამს ითანამშრომლოს საქართველოს არჩეულ ხელისუფლებასთან საარჩევნო გარემოსა და პროცედურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.**

უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ საბოლოო ანგარიში იმეორებს ეუთო/ოდირის წინასწარი ანგარიშის ძირითად დასკვნას, რომ 26 ოქტომბერს ამომრჩეველს ჰქონდა „ფართო არჩევანი“, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს შეეძლოთ „კამპანიის თავისუფლად წარმოება“. ხაზგასმულია, რომ კამპანია მიდიოდა მშვიდ გარემოში, ხოლო „ძალადობის იზოლირებული შემთხვევების“ შესახებ ინფორმაცია მიიღეს როგორც მმართველი პარტიისგან, ისე ოპოზიციისგან.

ანგარიშში განსაკუთრებით შექებულია საარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნების „კარგად ორგანიზებისა და ადმინისტრირებისთვის“. ცესკომ ეუთო-ს შექება დაიმსახურა არჩევნების შედეგების დროული გამოქვეყნებისათვისაც, ხოლო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ეფექტურად შედგენისათვის. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ არჩევნების დღეს უბნების 90%-ზე მეტში საარჩევნო პროცესი შეფასდა დადებითად, ხოლო ყველა 73-ვე საარჩევნო ოლქში „საარჩევნო დოკუმენტაციის“ დამუშავება დადებითად იქნა შეფასებული.

ანგარიშში, ასევე, აღნიშნულია, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების მონაწილეობამ ენერგიული სადამკვირვებლო გარემო შექმნა. ნიშანდობლივია, რომ ანგარიშში გაკრიტიკებულია ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მცდელობა, თავიანთი წარმომადგენლები საარჩევნო დამკვირვებლებად წარმოედგინათ და შეეგზავნათ საარჩევნო უბნებზე, რაზეც, როგორც გახსოვთ, ჩვენი კვლევაც მიუთითებდა, რომლითაც რადიკალურ ოპოზიციასთან პირდაპირ დაკავშირებული 37 სადამკვირვებლო ორგანიზაცია ვამხილეთ.

ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტიკა, ანგარიშის მიხედვით, ეთმობა საქართველოში შექმნილ პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოს და მედიასაშუალებების პოლიტიკურ მიკერძოებულობას.

**ანგარიშის მიხედვით, ეუთოს შეშფოთებას იწვევს ტელევიზიების დაქვემდებარება პოლიტიკურ და ბიზნესინტერესებზე. ეუთო ხაზს უსვამს, რომ არჩევნების განმავლობაში ხდებოდა კომერციული ტელევიზიების გამოყენება პოლიტიკური პროპაგანდისათვის, რამაც დააზიანა დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა და გააძლიერა დამაპირისპირებელი პოლიტიკური რიტორიკა. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ოპოზიციამ თავი აარიდა საზოგადოებრივ მაუწყებელზე დებატებში მონაწილეობას. მისასალმებელია, რომ განსხვავებით სხვა დამკვირვებლებისგან, ეუთო/ოდირის ანგარიშში აისახა ჩვენ მიერ წამოჭრილი პრობლემა, როდესაც ოპოზიციის კუთვნილმა სამმა ტელევიზიამ კანონის დარღვევით არ მოგვცა მათ მედიაში უფასო სარეკლამო დროით სარგებლობის საშუალება და ჯამში ხუთ საათზე მეტი უფასო სარეკლამო დრო წაგვართვა. სამომავლოდ ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად ეუთო/ოდირი გვთავაზობს, რომ შესაბამის მედიას დაკარგული სარეკლამო დროის თანხით კომპენსირება დაეკისროს.**

მნიშვნელოვანია, რომ ეუთო/ოდირის ანგარიშში ხაზგასმულია საქართველოს წარმავალი პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, რომელმაც, როგორც ანგარიშში წერია, „აქტიური როლი შეასრულა საარჩევნო კამპანიაში, როდესაც ოპოზიციასთან კონსულტაციები გამართა წინასაარჩევნო კოალიციებისა და მთავრობის დაკომპლექტების თაობაზე, რითაც, პოტენციურად, გავიდა სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ნეიტრალური არბიტრის მანდატიდან“. შეგახსენებთ, რომ ჩვენ ამ დარღვევაზე საჯაროდ მივუთითებდით, თუმცა ეუთო/ოდირის გარდა, არცერთმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ ეს ფაქტი საკუთარ ანგარიშში არ ასახა.

ანგარიშში ასევე მოხვდა **ISFED**-ის პარადოქსული ქცევა, რომელმაც უარი თქვა პარალელური დათვლის შედეგების გასაჯაროებაზე. შეგახსენებთ, რომ ამან ნიადაგი შეუქმნა ამობეჭდილ და ატვირთულ ოქმებს შორის სხვაობის შესახებ ცრუ ნარატივების გაგრძელებას. ჩვენ დღემდე ველოდებით ამ დოკუმენტის გამოქვეყნებას, მაგრამ უშედეგოდ. შეგახსენებთ, რომ არც ეს ფაქტი მოხვდა სხვა დამკვირვებლების ანგარიშში.

რასაკვირველია, როგორც ეუთო/ოდირის ყველა სხვა ანგარიში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში, ის შეიცავს კრიტიკულ ასპექტებს და რეკომენდაციებს, რომლებზეც აუცილებლად გვექნება სათანადო რეაგირება.

**რადიკალური ოპოზიციის თითქმის ორთვიანი ისტერიის ფონზე, ეუთო/ოდირის ანგარიშის მთავარი დამსახურება მაინც ის არის, რომ მან საბოლოოდ ამხილა ოპოზიციის ცრუ ბრალდებები, რომლითაც ისინი უკვე ორი თვეა არჩევნების შედეგების გაყალბებულად გამოცხადებას ცდილობდნენ. ამიტომ მინდა, წარმოგიდგინოთ ეუთო/ოდირის მიერ მხილებული ის ხუთი მთავარი ტყუილი, რომელზე რადიკალებმა საკუთარი რევოლუციური სცენარი ააგეს:**

**1. საზღვარგარეთ გაუხსნელი უბნები – სრულად დაიმსხვრა რადიკალური პარტიების, ენჯეოების და სალომე ზურაბიშვილის ცრუ ნარატივი უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეებისთვის საარჩევნო უფლების შეზღუდვის შესახებ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის ერთ-ერთი საბაბიც კი იყო. ამას გარდა, შეგახსენებთ, რომ უცხოელებთან კომუნიკაციისას სალომე ზურაბიშვილი ამ ბრალდებას საპარლამენტო არჩევნების შეუმდგარად გამოცხადებისთვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ასახელებდა. ამ ხმაურიანი ცრუ კამპანიის ფონზე, მართლაც გამანადგურებელია მათთვის, რომ ეუთო/ოდირს ეს საკითხი არათუ პრობლემურად, საერთოდ ნახსენებიც კი არ აქვს და ამით საბოლოო წერტილი დაუსვა საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი მოქალაქეებისთვის საარჩევნო უფლების ვითომდა შეზღუდვის შესახებ სპეკულაციას.**

**2. 300 000 გაყალბებული ხმა – ეუთო/ოდირის ანგარიშით სრულად განადგურდა რადიკალური პარტიების, ენჯეოების და სალომე ზურაბიშვილის ცრუ ბრალდება 300 000 ხმის გაყალბების შესახებ, რომელიც მათი ვერსიით არსაიდან გაჩნდა და „ქართულმა ოცნებამ“ მიიწერა. არც პირდაპირ და არც ირიბად ამ ანგარიშში რაიმე მსგავსი არც წერია და არც გამომდინარეობს. ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები, რომ ან ხმის მიცემისას, ან ხმის დათვლისას, ან ოქმის შედგენისას რაიმე გაყალბებას, მანიპულაციას თუ ე.წ. „საარჩევნო კარუსელს“ ჰქონდა ადგილი. ამავე კონტექსტში, გაბათილდა კიდევ ერთი ყალბი ნარატივი, როდესაც საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მოსახლეობის რაოდენობის და ცესკოს მიერ დადგენილი ამომრჩევლების რაოდენობის ურთიერთდადარებით ცდილობდნენ ემტკიცებინათ, რომ მოხდა არარსებული ამომრჩევლის ბიულეტენების ჩაყრა და ამ მითიური 300 000 ხმის მიწერა. ეუთო/ოდირმა დაადასტურა, რომ ამომრჩევლების სიის სიზუსტესთან დაკავშირებით რაიმე კითხვები არ არსებობს.**

**3. ერთი პირადობით 17-ჯერ მიცემული ხმა – სრულად დაიმსხვა რადიკალური პარტიების, ენჯეოების და სალომე ზურაბიშვილის ყალბი ბრალდება თითქოსდა რეგისტრაციის აპარატებში სიების დუბლირების და „ერთი პირადობის მოწმობით 17-ჯერ ხმის მიცემის“ შესახებ. სიების დუბლირება გამოირიცხა ამერიკული კომპანიის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნითაც და ეუთო/ოდირის ანგარიშითაც.**

**4. რუსული სპეცოპერაცია – განადგურდა კიდევ ერთი სამარცხვინო ტყუილი, რომელსაც სალომე ზურაბიშვილი რადიკალურ პარტიებთან და ზოგიერთ მათ მოკავშირე უცხოელ აქტორთან ერთად ავრცელებდა არჩევნებში თითქოსდა რუსეთის ჩარევის შესახებ. ეუთო/ოდირმა არათუ დაადგინა, მას ეჭვის დონეზეც კი არ აქვს გამოთქმული რაიმე ვარაუდი არჩევნებში რუსეთის ჩარევასთან დაკავშირებით.**

**5. გაჟონილი მარკირება – ბოლო ხავსი, რომელსაც რადიკალური პარტიები, ენჯეოები და სალომე ზურაბიშვილი არჩევნებიდან მეხუთე დღეს ჩაეჭიდნენ: საარჩევნო ბიულეტენზე მარკირების მეორე მხარეს გაჟონვა. შეგახსენებთ, რომ ამ საბაბით ისინი უბნების 90%-ის გათილად ცნობას და ამით ახლადარჩეული პარლამენტის შეკრების ჩაშლას ცდილობდნენ. ეუთო/ოდირის ანგარიშის თანახმად მათ დაკვირვებების 94% მარკირების მეორე მხარეს გამოჩენის შემთხვევა საერთოდ არ დაუფიქსირებიათ. დაკვირვების მხოლოდ 6%-ში მათ მართალია დააფიქსირეს მარკირების მეორე მხარეს გამოჩენის შემთხვევა, თუმცა, მათი შეფასებით ამას მხოლოდ პოტენციურად შეეძლო ფარულობის დარღვევა; ხაზს ვუსვამ, რომელსაც მხოლოდ „პოტენციურად შეეძლო ფარულობის დაღვევა“ და არა „რომლითაც ფარულობა დაირღვა“. ამასთან ეუთო/ოდირი ფარულობის დარღვევის რისკის შემცველ მთავარ გარემოებებად აბსოლუტურად სხვა საკითხებს ასახელებს. ესენია: თავად ამომრჩევლის მიერ ბიულეტენის არასწორად განთავსება, უბანზე ხალხის დიდი რაოდენობა, უბნის შიდა პერიმეტრის მოწყობა და ა.შ. ასე, რომ მითი ბიულეტენის მონიშვნის საყოველთაო გაჟონვის შესახებ საბოლოოდ დაიმსხვრა.**

ასე, **ერთი ანგარიშით დაიმსხვრა რადიკალური პარტიების, ენჯეოების, სალომე ზურაბიშვილის და მათი უცხოელი შემბულიანებლების 5 მთავარი ტყუილი, რომლითაც ისინი ქართული დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრას და მილიონზე მეტი ამომრჩევლისთვის ხმის წართმევას ცდილობდნენ.**

**საზოგადოებას** შევახსენებ, რომ არაფერი ახალი ამ ხალხის ხელწერაში არ არის. 2012 წლის შემდეგ ეს უკვე მერვე არჩევნებია, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია გაყალბებულად აცხადებს. საუბრობენ უპრეცედენტო გაყალბებებზე, ოღონდ იმ ფონზე, როდესაც ოპოზიციას საარჩევნო უბნებზე ჯამში 24 000 კომისიის წევრი ჰყავდა და ამდენივე წარმომადგენელი, საიდანაც მხოლოდ ცხრამ დააფიქსირა განსხვავებული აზრი საარჩევნო უბნის ოქმის შედგენისას. საუბრობენ უპრეცედენტო დარღვევებზე, ოღონდ იმ ფონზე, როდესაც საარჩევნო უბნებზე რეკორდული რაოდენობის – 25 000 – ადგილობრივი და უცხოელი დამკვირვებელი იყო, შედეგად კი სულ 1200 საჩივარი დაიწერა, მაშინ, როდესაც 2020 წლის არჩევნებისას საჩივრების რაოდენობა 2000-ზე მეტი იყო. საუბრობენ უპრეცედენტო ძალადობაზე, ოღონდ იმ ფონზე, როცა 3111 უბანზე ორ მილიონზე მეტი ამომრჩევლის პირობებში სახალხო დამცველის ანგარიშში სულ ძალადობის 13 ინციდენტი აღიწერა და ეუთო/ოდირმა ამას იზოლირებული შემთხვევები დაარქვა.

სწორედ ამიტომ არის, რომ, როგორც წინა შვიდ შემთხვევაში, ახლაც რადიკალურ ოპოზიციას, საბოლოო ჯამში, მოუწევს ქართველი ხალხის ნების აღიარება და დემოკრატიულ ჩარჩოებში დაბრუნება. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ამასობაში გადის ძვიფასი დრო და ფუჭად იხარჯება ჩვენი ხალხის ენერგია და ემოციები, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინსვლას უნდა მოხმარდეს.

ეუთო/ოდირის დასკვნა არის ის წყალგამოყოფი, სადაც უნდა დასრულდეს ყველანაირი დამაზიანებელი სპეკულაცია არჩევნების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით. ოპოზიციამ მიიღო ხელისუფლების ის წილი, მანდატების ის რაოდენობა, როგორც ეს ქართველმა ხალხმა ჩათვალა საჭიროდ. ასევე, დროა შეწყდეს თავდასხმები უცხოეთიდან ქართული დემოკრატიის მისამართით და აღიარებული იქნეს ქართველი ხალხის ნება, რომელიც ერთადერთი ლეგიტიმური გზით – არჩევნების საშუალებით გამოიხატა.

დაბოლოს, მინდა, მადლობა გადავუხადო ეუთო/ოდირის დელეგაციას გაწეული მუშაობისათვის და არჩევნების საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნებისათვის. რასაკვირველია, საქართველოს ხელისუფლება სიღრმისეულად შეისწავლის მათ რეკომენდაციებს და გააგრძელებს ეუთო/ოდირთან თანამშრომლობას მომდევნო არჩევნების სათანადო დონეზე ჩასატარებლად.

**21.XII.2024.**

საქართველოს რესპუბლიკა



# აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე — ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება

**გამოჩენილ მეცნიერს, აკადემიკოს თამაზ ჭელიძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.**

**ბატონი თამაზი მეცნიერთა იმ პლეადის წარმომადგენელია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერების განვითარებაში და სახელი გაუთქვა თავის ქვეყანას.**

თამაზ ჭელიძე დაიბადა 1934 წლის 24 დეკემბერს ქ. ქუთაისში. 1952 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1957 წელს გეოლოგ-გეოფიზიკოსის სპეციალობით. იმავე წელს ბატონმა თამაზმა მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში, სადაც 1957 წლიდან იკავებდა სხვადასხვა სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პოზიციას. 1992-2006 წლებში იყო ინსტიტუტის დირექტორი. 2006 წლიდან დღემდე იგი არის ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და გამოყენებითი გეოფიზიკის სექტორის ხელმძღვანელი.

1964 წელს თამაზ ჭელიძემ დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქანების ელექტრული პარამეტრების ველის სიხშირეზე დამოკიდებულების საკითხისათვის“ და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1975 წელს კიევში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ზედაპირული ეფექტები ჰეტეროგენური სისტემების დიელექტრიკულ სპექტროსკოპიაში“, რისთვისაც მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1985 წელს მოსკოვში, დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „პერკოლაციის მოდელები რღვევის ფიზიკაში“ და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

**1990 წელს მიანიჭეს პროფესორის წოდება და არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. 1997 წლიდან იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, ხოლო 2013 წლიდან – აკადემიკოსი.**

ხანგრძლივი და დაუღალავი შემოქმედებითი შრომით ბატონმა თამაზმა ხელი შეუწყო საქართველოში გეოფიზიკური მეცნიერების შემდგომ განვითარებას და ახალი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებების შექმნას. საერთაშორისო დონეზეა აღიარებული მისი შრომები რღვევის პერკოლაციური მოდელისა და მიწისძვრების კერის ფიზიკის საკითხებზე, რის შედეგად შეიქმნა ახალი კვლევითი მიმართულება: რღვევის პერკოლაციური (ფრაქტალური) მექანიკა. ეს საკითხები განხილულია თამაზ ჭელიძის მონოგრაფიაში „პერკოლაციის თეორიის მეთოდები გეომასალათა მექანიკაში“. მნიშვნელოვანია ბატონი თამაზის მიღწევები სეისმური პროცესების არაწრფივ კვლევასა და კრიტიკულობის თეორიაში. კერძოდ, კრიტიკულ მდგომარეობასთან მიახლოებული მექანიკური სისტემების მდგრადობის შესწავლამ გამოავლინა სეისმური პროცესების შედარებით სუსტი პერიოდული ველებით სინქრონიზაციის პრინციპული შესაძლებლობა.

აკადემიკოს თამაზ ჭელიძის ხელმძღვანელობით, ქართველი სეისმოლოგების მიერ, 1990-1995 წლებში შედგენილ იქნა საქართველოს ზოგადი სეისმური დარაიონების რუკა, რომელიც 1999 წელს საქართველოს მშენებლობის სამინისტრომ დაამტკიცა ნორმატიული დოკუმენტის სახით. მის ახალ ვერსიაზე მუშაობა ამჟამადაც მიმდინარეობს.

ბატონ თამაზის კვლევებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ენგურჰესის კაშხლისა და მისი ფუნდამენტის დახრებისა და დეფორმაციების კვლევა, რაც უმნიშვნელოვანესია ამ უნიკალური ობიექტის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის. თ. ჭელიძის ხელმძღვნელობით მიმდინარეობს უწყვეტი მონიტორინგი ენგურჰესის კაშხალზე. იგი არის 1995 წელს ევროსაბჭოსთან არსებული დიდი კატასტროფების შეთანხმების ფარგლებში შექმნილი ცენტრის „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკი“ პრეზიდენტი. მისი ხელმძღვანელობით შექმნილია კაშხლების და დიდი საინჟინრო ობიექტების მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების ავტომატური ტელემეტრული სისტემა, რაც უნიკალურია მსოფლიო მასშტაბით.

2021-2023 წლებში თ. ჭელიძემ აქტიურად გააგრძელა მუშაობა მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენებით მიწისძვრების წინამორბედების აღმოჩენის პრობლემაზე. ჯერ კიდევ 1995 წელს გამოქვეყნდა მისი სტატია, სადაც „დამხმარე ვექტორული მანქანების“ მიდგომის საფუძველზე განიხილებოდა კავკასიაში მაგნიტუდა 5 მიწისძვრის მოხდენის ალბათობის საკითხი. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ნაშრომი მანქანური სწავლების გამოყენებით ძლიერი მიწისძვრების პროგნოზირების მიმართულებით.

**ბატონი თამაზი წლების განმავლობაში ერთობლივ სამუშაოებს ატარებდა აშშ, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების მეცნიერებთან. მაღალრეიტინგულ რეცენზირებად ჟურნალებსა და გამოცემებში გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 4 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო. ბატონი თამაზის მიერ მიღებული შედეგები შეტანილია უცხოეთში გამოცემულ სახელმძღვანელოებში.**

ბატონ თამაზს მოპოვებული აქვს მრავალი საერთაშორისო, ინდივიდუალური და ეროვნული სამეცნიერო გრანტი. მისი, როგორც მეცნიერისა და ინტელექტუალის ავტორიტეტს, უთუოდ ამაღლებს რამდენიმე უცხო ენის ფლობა.

წლების განმავლობაში ბატონი თამაზი დიდ სამეცნიერო-ორგანიზატორულ მუშაობასაც ეწევა. მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა გეოფიზიკური საზოგადოება და ამ საზოგადოების ინგლისურენოვანი ჟურნალი. **არის საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების პრეზიდენტი, კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, გეოდეზიის და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე. 2021 წელს თ. ჭელიძე არჩეულ იქნა ლონდონის სამეფო ასტრონომიული საზოგადოების ნამდვილ წევრად. ამავე დროს ბატონი თამაზი არის ამერიკის გეოფიზიკური საზოგადოების ნამდვილი წევრი, მსოფლიო საძიებო გეოფიზიკის საზოგადოების წევრი. 1987 და 1992 წლებში იგი იყო საფრანგეთში სტრასბურგის უნივერსიტეტის, 1994-1997 წლებში რენის უნივერსიტეტის, ხოლო 2000 წელს პარიზის „ეკოლ ნორმალ სუპერიორ”-ის მიწვეული პროფესორი.**

ბატონი თამაზი, მეცნიერულ კვლევებთან ერთად, 1972 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების კათედრაზე. 1997-2006 წლებში იყო ამ კათედრის გამგე. მისი ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა ეზიარა გეოფიზიკურ მეცნიერებას, მათ შორის ორი მეცნიერებათა დოქტორი და რვა მეცნიერებათა კანდიდატია.

ბატონ თამაზს მიღებული აქვს მთავრობის არაერთი ჯილდო და სახელობითი პრემია: საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, ღირსების ორდენი, მ. ალექსიძის სახელობის პრემია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მ. ნოდიას სახელობის პრემია. იგი ქ. თბილისის საპატიო მოქალაქეა.

**თამაზ ჭელიძე ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნებაა. ხაზი უნდა გაესვას მის სამაგალითო პიროვნულ თვისებებს, როგორიცაა: კეთილშობილება, თავმდაბლობა, მაღალი ინტელექტი, შრომისმოყვარეობა და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი თავისა და კოლეგებისადმი.**

**ვულოცავთ ბატონ თამაზს იუბილეს, ვუსურვებთ მას კიდევ მრავალ სამეცნიერო წარმატებებს, ჯანმრთელობასა და მხნეობას ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**
**დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება,**
**ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი.**

# ანანურის ციხის გუმბათის სარკმლების რეაბილიტაცია დასრულდა

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ანანურში მდებარე ეროვნული კატეგორიის მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის – ანანურის ციხის ანსამბლში შემავალი ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათის სარკმლების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2024 წლის აგვისტოში ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარმა სააგენტოს მიმართა ეკლესიის გუმბათიდან სარკმლის ჩამოვარდნის თაობაზე. ანანურში გაიგზავნა სპეციალისტების ჯგუფი. პირველადი დათვალიერების შემდეგ დაიგეგმა გადაუდებელი სამუშაოები. გუმბათის ყელიდან ჩამოვარდნილი დაზიანებული სარკმელი შეიცვალა ახალი ხის სარკმლით, ხოლო დანარჩენი სარკმლები გამაგრდა ანკერებით და ამოიგოზა ყინვაგამძლე მასალით.

სამუშაოებისთვის,რომლებიც შპს„ხაზმა“ შეასრულა, სააგენტომ დახარჯა 19 947 ლარი.

ანსამბლის მთავარი ნაგებობა – ღვთისმშობლის ეკლესია დგას ხევსურული კოშკის აღმოსავლეთით. სამშენებლო წარწერის თანახმად, იგი 1689 წელს მდივანბეგ ბარძიმის დაკვეთით აუგია ბოქაულთუხუცეს ქაიხოსრო ბაღსარაშვილს. ეკლესია ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობაა (23,1მX17,2მ), აშენებულია თლილი ქვის კვადრებით. შესასვლელი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან აქვს. შიდა სივრცეს ქმნის ჯვრის ოთხი მკლავი და ცენტრში აღმართული გუმბათი, რომელიც ეყრდნობა აფსიდის კუთხეებსა და ორ რვაწახნაგოვან ბოძს. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის გვერდებზე ჩრდილოეთით აფსიდიანი სამკვეთლოა, სამხრეთით – სწორკუთხა სადიაკვნე.



**დავით გურგენიძე,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი**

# ღრმად პატივცემულო, ბატონო ვახტანგ!

**მადლიერი შთამომავლობა უდიდეს პატივს მოგაგებთ თქვენ, გამოჩენილ ქართველ არქიტექტორს, ქართული არქიტექტურული სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს საინჟინრო და ფიზიკის აკადემიების აკადემიკოსს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ღვაწლმოსილ პედაგოგს, ახალგაზრდობის მრავალი თაობის ღირსეულ აღმზრდელს, საქმის დიდ პროფესიონალს, უღალატო მეგობარს, განათლებულ მამულიშვილს და გილოცავთ დაბადებიდან 90-ე წლისთავს.**

**საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საინჟინრო განათლების ამ დიდ ტაძარში, თქვენ ეზიარეთ არქიტექტორის ურთულეს და ქვეყნისთვის მეტად საჭირო დარგს.**

**თქვენი ბიოგრაფია, მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი, საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება, ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული უდიდესი ღვაწლი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ჭეშმარიტად დიდი პედაგოგი და მეცნიერი ბრძანდებით.**

**ბატონო ვახტანგ, დაუღალავი შრომის შედეგად მიაღწიეთ დიდ წარმატებებს და საყოველთაო აღიარებას.**

**შეუფასებელია თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობა ახალგაზრდა სპეციალისტებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების აღზრდის საქმეში.**

**განუზომელი წვლილი შეიტანეთ ქართული არქიტექტურის განვითარებასა და არქიტექტურული სკოლის აღმავლობაში. საქმისადმი ერთგულებითა და თავდაუზოგავი შრომით შესძელით მნიშვნელოვანი ადგილი დაგემკვიდრებინათ ქართული არქიტექტურის ისტორიაში.**

**გამოქვეყნებული გაქვთ მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და ბრძანდებით 250-მდე პროექტის ავტორი, მათ შორის: საერთაშორისო ახალგაზრდული ცენტრი „მზიური ველი“ ბაკურიანში, ბიზნესცენტრი „მთაწმინდა“ თბილისში, საქართველოს კულტურის ფონდის საგამოფენო დარბაზი თბილისში, მემორიალებისა: კავკასიის დამცველთა მემორიალი ყარაჩაევო-ჩერქეზეთში, „ალგეთის ბაზილიკა“ სოფელ ტბისში, მეზღვაურთა მემორიალი ფოთში, დავით აღმაშენებლის ძეგლი ქუთაისში, „კოლხეთის დედა“ და ცოტნე დადიანის ძეგლი ფოთში და მრავალი სხვ.**

**თქვენი, როგორც მეცნიერებისა და საინჟინრო საქმის დიდი ორგანიზატორის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა დამსახურებულად არის დაფასებული და დაჯილდოებული ხართ ქვეყნის ორდენებითა და მედლებით.**

**დაჯილდოებული ხართ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი — გიორგი ნიკოლაძის მედლით.**

**ბატონო ვახტანგ, თქვენ ბრძანდებით უაღრესად კაცთმოყვარე პიროვნება. ქართულმა სიდარბაისლემ, სულიერმა სისპეტაკემ, ადამიანურმა სიბრძნემ, ხელმძღვანელობის იშვიათმა უნარმა, ფენომენალურმა მეხსიერებამ, გულწრფელმა თავმდაბლობამ და საქმის ერთგულებამ მოგიპოვათ საზოგადოების ჭეშმარიტი პატივისცემა და სიყვარული.**

**ბატონო ვახტანგ! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ გამორჩეულ საიუბილეო თარიღს! გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და მხნეობას. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ცოდნით, მდიდარი გამოცდილებით და მაღალი მოქალაქეობრივი ღირებულებებით თქვენ კიდევ დიდხანს იღვაწებთ ჩვენი უნივერსიტეტის, ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.**



# ქართული არქიტექტურის სიამაყე

დასასრული. დასაწყისი იხილეთ „სრ“ N147

**ახალგაზრდობაზე, მომავალზე ფიქრით და იმედით არის გაჯერებული ვახტანგ დავითაიას უნიკალური წიგნი „პროცესი“, რომელსაც შევყავართ ოსტატის „შემოქმედებითი სამზარეულოს“ ყველაზე იდუმალ კუთხე - კუნჭულში. ის ცდილობს, თავისი შემოქმედების ყველა საიდუმლო, პირველი იმპულსები, ესკიზებით და „სამუშაო“ მაკეტებით გააცნოს სტუდენტებს და კოლეგებს. უაღრესად საინტერესოა მისი მეგობრების, პროფესიის დიდოსტატების, კიმო კუროკავას, რიჩარდ ინგლანდის, როგერტ სტურუას, მერაბ კოკოჩაშვილის, ზურაბ ნიჟარაძის, ლევან ცუცქირიძის, დავით ანდრიაძის, პაატა ნაცვლიშვილის, ზურაბ სამხარაძის აზრი და ექსპოზიცია შემოქმედებით პროცესზე.**

არქიტექტურისა და ხელოვნების უახლესი პრობლემებისადმი მიძღვნილი ბატონი ვახტანგის „საავტორო ლექციები“, საერთოდ პედაგოგიური მოღვაწეობა, ყოველთვის იწვევს აღტაცებას, რომელიც, არც თუ იშვიათად, ტაშით მთავრდება.

ამ აღტაცებას მისი უცხოელი სტუდენტებიც უერთდებიან. რამდენიმე ამონარიდი **აშშ-ის ინდიანას ბოლის უნივერსიტეტის** სტუდენტების „გამოსამშვიდობელი“ წერილებიდან:

**„ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ვახტანგის ჯადოსნური ხალიჩით გადამიყვანეს უცნობ და შორეულ სამყაროში. წარმოდგენები დარჩებიან ჩემთან და აღმაფრთოვანებენ წლების მანძილზე. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ მოვისმინე მთელი კურსი“. ბილ ბრაუნი.**

**„პროფესორო დავითაია, თქვენ შემოიტანეთ გრძნობა პროექტებში და გრძნობა კლასში, რაც ადრე არ განმიცდია“. კრეგ მაკკერმიკი.**

**„ბატონო ვახტანგ, მე დიდი სიამოვნება მივიღე საკურსო პროექტებზე მუშაობისას. ის შესაძლებლობები, რომელიც თქვენ მომანიჭეთ ამ პროგრამით, ძალიან ღირებულია. მინდა შევასრულო სხვა პროექტებიც თქვენი მეთოდით“. ჯიმ ისტმანი.**

ვახტანგ დავითაიას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას არსებითი, ადგილი უჭირავს მონუმენტებს, მემორიალებს, მცირე არქიტექტურას. ეს ის თემაა, სადაც პროექტების უდიდესი ნაწილი რეალიზებულია.

**„დიდი დრო და ენერგია შევალიე მონუმენტებს, მემორიალებს, მცირე არქიტექტურას. მხოლოდ არაპროფესიონალს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს „სუფთა“ ემოციის და განწყობილების სფეროა. სინამდვილეში, მას ახასიათებს ყველა ის შემოქმედებითი და ორგანიზაციული სირთულეები, რაც ზოგადად არქიტექტურას“. ვ. დავითაია.**

ვ. დავითაიას მემორიალებთან მნახველი არასოდესაა პასიური დამთვალიერებელი, მას ამ მემორიალებში არ ხვდება სტერეოტიპი, არც თხრობა. მისი არქიტექტურული სცენარი ყოველთვის მიმართულია იმ ნერვის შეტოკებისკენ, წარმოსახვის გაღვიძებისკენ, რომელიც თითოეულ ადამიანში თვლემს და ელოდება ბიძგს აქტიური მოქმედებისათვის.

ჩრდილოეთ კავკასიაში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში, საკავშირო კონკურსში გამარჯვებული პროექტით, განხორციელდა მეორე მსოფლიო ომში კავკასიის დამცველთა ხსოვნის მემორიალი. 1968. ავტორები: ვ. დავითაია, ა. ჩიქოვანი, მოქანდაკე გ. კალაძე. ამ მემორიალმა ერთ-ერთმა პირველმა დაარღვია ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალების საბჭოთა სტერეოტიპები.

**„კავკასიის დამცველთა მემორიალი ჩვენი სამშობლოს გმირული დღეების დიდებული მემორიალია, მისი არქიტექტურა მოგვიწოდებს ბრძოლისა და თავგანწირული წინააღმდეგობისაკენ“. მ. კელდიში. სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. 1968.**

**„შეკვრა მემორიალური ანსამბლის სიდიადეს“. ა. პახმუტოვა, ბ. ბრეზენიკოვი, ნ. დობრონრავოვი. 1968. კომპოზიტორები.**

* * *

**გასული** საუკუნის სამოციან წლებში დაიწყო მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის და არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას შემოქმედებითი მეგობრობა. ამ ორი დიდი ხელოვანის შემოქმედებამ საქართველოს შესძინა განუმეორებელი მემორიალები: **„კოლხეთის დედა“** ქ. ფოთში, **„დაჭრილი არწივი“** ქ. ზესტაფონში, **„გამარჯვების მონუმენტი“** ქ. გორში, **„მეზღვაურთა მემორიალი“** და **ცოტნე დადიანი** ქ. ფოთში, **„ვეფხი და მოყმე“** ქ. თბილისში, **ილია ჭავჭავაძე** ბათუმში და სხვა.

**„მონუმენტურობის გრძნობა — ეს მხატვრის მეექვე გრძნობაა. ვახტანგი ზუსტად გრძნობს არქიტექტურის მხატვრულ და სოციალურ მნიშვნელობას, რაც ყოველთვის ვლინდება მის ნამუშევრებში“ — ელგუჯა ამაშუკელი.**

1981 წლის 19 ივნისში საზეიმოდ გაიხსნა მემორიალი „ხსოვნის ტაძარი“ სოფელ მუხრანში. ავტორები: **ვ. დავითაია, შ. ბოსტანაშვილი, მხატვარი ე. ბურჯანაძე.**

**„ხსოვნის ტაძარი“ ეს არის ფიქრის, განმარტოვების, დუმილის, ხსოვნის და ლოცვის ადგილი. ასე იქმნება უწყვეტი კავშირი წარსულის, თანამედროვეობასა და მომავალს შორის“. გიორგი გაჩეჩილაძე, კრიტიკოსი.**

1984 წელს ქ. სენაკში გაიხსნა მემორიალი „ხსოვნის კუბი“. მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილი, არქიტექტორები: ვ. დავითაია, შ. ბოსტანაშვილი, გ. გაგელია.

ხსოვნის კუბი ეძღვნება ომში დაღუპულ 3500 სენაკელის ხსოვნას. იმავდროულად, მემორიალი გამოხატავს საერთო-საკაცობრიო ტრაგედიას.

**„დაჭრილი კუბის (7,0 X 7,0 X 7,0 მ) შეზღუდული შიდა სივრცე „სავსეა“ განზოგადებული, დეფორმირებული, გაქვავებული ადამიანების — ქალების, ბავშვების ქანდაკებებით. აქ ნამდვილი ჯოჯოხეთია, ომის ჯოჯოხეთი.**

**კუბი მონოლითია, რომ არ განმეორდეს ის, რაც მოხდა.**

**მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა არქიტექტორების ჩანაფიქრი. იგი შევიდა კუბის ცარიელ კედლებში და სამი წლის შემდეგ გამოვიდა გენიად“. ვ. დავითაია.**

**ხსოვნის კუბი „ინტერარქ-87“-ის ლაურეატია.**

* * *

**1983 წელს** სოფელ ტბისში გაიხსნა მემორიალი **„ალგეთის ბაზილიკა“.**

**„მთის მწვერვალზე მდგარი ბაზილიკები, ეკლესიები და ციხე-სიმაგრეები საქართველოს პეიზაჟის ტრადიციული კადრია. მე მოვახდინე ამ ტრადიციის ახლებური ინტერპრეტაცია. პატარა ზომის, ბეტონის, გამჭირვალე „ალგეთის ბაზილიკა“ ვრცელი არეალიდან აღიქმება. ის გარემოს ორიენტირია, ემოციურად მახლობელი და გასაგებია ადამიანებისათვის. მემორიალი ძალზე ეფექტურია ღამითაც, თითქოს ცაზე კიდია. ის ორგანულად ჩაეწერა ადამიანთა ყოველდღიურობაში. აქ ლოცულობენ და სანთლებს ანთებენ“. ვ. დავითაია.**

**„ეს არის ძეგლების განმადიდებელი ძეგლი“. შოთა ბოსტანაშვილი.**

**„ალექსანდრე ბლოკმა თავისი პოემა „ათორმეტი“ რომ გაასრულა, თავის თავს უთხრა: „მე დღეს გენიოსი ვარ“. როცა „ალგეთის ბაზილიკა“ გაასრულა, იგივე შეიძლებოდა თავის თავისთვის ეთქვა ვახტანგ დავითაიას“. მურმან ჯგუბურია, მწერალი.**

ეს ნაწარმოები იტევს საქართველოს ისტორიას, უშორესი წელთაღრიცხვიდან დღემდე. როგორც ქართულ პოეზიაში „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ განსაკუთრებული მოვლენაა, ასეთივე განსაკუთრებული მოვლენაა „ალგეთის ბაზილიკა“ ქართულ არქიტექტურაში.

**„ალგეთის ბაზილიკა“ „ინტერარქ-89“-ის ლაურეატია, მინიჭებული აქვს საქართველოს უძრავი ძეგლის სტატუსი.**

* * *

**1981 წელს** ქ. ქუთაისში გაიხსნა „შრომის დიდების“ მემორიალი. ავტორები: ვ. დავითაია, შ. ბოსტანაშვილი.

**„მემორიალი ქანდაკებების თეატრია, სპექტაკლია, რომელიც იცვლება ყოველ სამ წელიწადში. ის ჰარმონიულადაა ინტეგრირებული ურბანულ სტრუქტურაში და ცხოვრობს ქალაქის ცხოვრებით. მემორიალი ღიაა, ზეიმური, თეატრალური. ის საუკეთესო მაგალითია არა მხოლოდ ურბანული კონტექსტისა, არამედ ზუსტად ასახავს ქალაქის ხასიათს, განწყობილებას, ატმოსფეროს“. ვ. დავითაია.**

**„ეს მემორიალი იმითაა აღსანიშნავი, რომ ის გვიჩვენებს მონუმენტური ხელოვნების სრულიად ახალ გზას. ის არა მხოლოდ შემოქმედებითი მიგნებაა, არამედ ნამდვილი მხატვრული აღმოჩენაა. მემორიალს საფუძვლად უდევს აქამდე უცნობი, მონუმენტისათვის გასაკვირი პრინციპი. ხუთი ათასი წლის მანძილზე კაცობრიობას არ შეუქმნია მონუმენტი, რომელიც იცვლება დროში“. ოლეგ შვიდკოვსკი, არქიტექტურის დოქტორი, აკადემიკოსი.**

**„ამ მემორიალმა უჩვეულო, მძლავრი, მაჟორული, პოეტური ნოტა შეიტანა ქალაქში. დავითაიამ და ბოსტანაშვილმა თავი აარიდეს მონუმენტალობას. კომპლექსი თავისუფალია ყალბი პათოსისგან. ავტორებმა სურდათ, შეექმნათ უჩვეულობის, თეატრალობის ატმოსფერო და მოახერხეს ამას“. იგორ სვეშლოვი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.**

* * *

**მემორიალი** „ინტერარქ-85“-ის ლაურეატია, მინიჭებული აქვს საქართველოს უძრავი კულტურის ძეგლის სტატუსი.



საგამოფენო ცენტრი „მთაწმინდა“



სკოლა სოფელ გავაზში

ზემოთ ხსენებული მემორიალები და მონუმენტები მხოლოდ ნაწილია ვახტანგ დავითაიას ამ დარგში მოღვაწეობისა, რომლის ზუსტ და ლაკონურ შეფასებას გვთავაზობს გამოჩენილი რუსი ხელოვნებათმცოდნე, **აკადემიკოსი ალექსანდრე რიაბუშინი – „სიდიადე მცირეში... ესაა ვახტანგ დავითაიას განსაკუთრებული, ჯადოსნური ნიჭი. ნიჭი, შექმნას მონუმენტალური, ობიექტის ფიზიკური სიმცირისა და მოკრძალების მიუხედავად".**

მცირე რაოდენობით, მაგრამ მემორიალებში და მონუმენტებშიც არის „არარეალიზებული პროექტები", განსაკუთრებით დასანანია, ვიტყოდი, ქართული კულტურისათვის დანაკარგია, ქ. თბილისში 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნის მონუმენტის, კონკურსის მესამე ტურში გამარჯვებული – „იკაროსი", რომელსაც ჟიურის 17 წევრიდან 12-მა პირველი პრემია მიანიჭა (მოქანდაკე ნ. თოფურია). განუხორციელებლობა, რაც ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებას და რიგ სუბიექტურ ფაქტებს უკავშირდება.

**„იკაროსი" ძალიან საინტერესოა თავისი გამომსახველობით, მეტაფორებით, აზროვნებით, კულტურით, კულტუროლოგიურია, ჩანს, იმ ქვეყანაშია შექმნილი, რომელიც ნაზიარებია უძველეს დიდ კულტურას". ნოდარ გურაბანიძე, თეატრმცოდნე, პროფესორი.**

ამ კონტექსტში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, ამ თემაზე, იგივე კონკურსის მეორე ტურზე ვახტანგ დავითაიას მიერ წარდგენილი შოკისმომგვრელი პროექტი – პიედესტალიანად, ორ ნაწილად გახერხილი მარმარილოს ვენერა მილოსელი.

**„მიუხედავად მძაფრი ემოციური მუხტისა, ელდისა, სიახლისა კონკურსში გამარჯვების იმედი არ მქონია, საზოგადოების მენტალობიდან გამომდინარე". ვ. დავითაია.**

არარეალიზებულ პროექტთა შორისაა მემორიალი ქ. სმოლიანისათვის, ბულგარეთი, საერთაშორისო კონკურსში პრემირებული **(შ. გოსტანაშვილთან და მოქანდაკე ნ. თოფურიასთან ერთად)**, და ასევე საერთაშორისო პრემიით აღნიშნული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი „არა ომს".

**„ვახტანგ დავითაიამ „ცხელ გულზე", ტელეეკრანის წინ შექმნა 2008 წლის აგვისტოში საქართველოში დატრიალებული ომის, უფრო ზუსტად სამხედრო აგრესიის მსხვერპლთა მემორიალის პროექტი. ჭურვებით დაგლეჯილი სივრცული ღიობებიდან გადმოკიდებული ფანტომები. სიკვდილის მანქანებმა რომ დაგვაყარეს, პლასტიკურ მეტაფორ(მ)ებად იკითხება. ეს უფრო სირცხვილის ძეგლია; თუნდაც „სირცხვილის კულტურის" ძეგლი". დავით ანდრიაძე, კულტუროლოგი, ფილოსოფიის დოქტორი.**

**მემორიალი „არა ომს" „ინტერარქ-2015"-ის ლაურეატია.**

* * *

**მცირე** არქიტექტურა – არქიტექტურის სპეციფიკური ჟანრია. აქ ყოველ დეტალს, ყოველ სანტიმეტრს, ფერს, ფაქტურას დიდი სიფრთხილე სჭირდება.

**„ღმერთმა მარგუნა (მომისაჯა) ვყოფილიყავი მეგობრების, ასევე, ჩვენი კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეების, სამარადისო სამყოფელის მიმჩენი. ესენი არიან ადამიანები, რომელთა საფლავები უნდა იყოს ისეთივე განსაკუთრებული და სახიერი, როგორებიც თვითონ იყვნენ". ვ. დავითაია.**

ვახტანგ დავითაიამ, მთაწმინდის და დიდუბის პანთეონებში, ასევე, სხვადასხვა სავანეებში, შეასრულა: ექვთიმე თაყაიშვილის, მუხრან მაჭავარიანის, ელგუჯა ამაშუკელთან ერთად – გიორგი ლეონიძის და უშანგი ჩხეიძის მემორიალური საფლავები (მთაწმინდა). ნიკო კეცხოველის, აკაკი ვასაძის, დიმიტრი ალექსიძის, გურამ ფანჯიკიძის, რობერტ ბარძიმაშვილის, მიხეილ კვესელავას, ირაკლი ციციშვილის, იოსებ კეჭაყმაძის, რამაზ და ნატალია ჩხიკვაძეების, თენგიზ სუხიშვილის, ოთარ ჩხეიძის საფლავები (დიდუბის პანთეონი). ლევ იაშინის, მერაბ ბერძენიშვილის, მანანა ცერცვაძის, ალექსანდრე ალექსიძის, ჯუმბერ ლომინაძის, თეიმურაზ ლოლაძის, დიმიტრი ჯაიანის, ამირან შალიკაშვილის და სხვათა მემორიალური საფლავები სხვადასხვა სავანეებში.

ვახტანგ დავითაიას ოთხტომეულში **„არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილე"** თავმოყრილია ქართულ და უცხოურ პერიოდულ და პროფესიულ პრესაში გამოქვეყნებული 200-მდე პუბლიცისტური წერილი, სტატია და ესსე. ამ პუბლიკაციებიდან მკაფიოდ ჩანს ავტორის ინტერესთა სფერო – არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება, მსოფლიო არქიტექტურაში მიმდინარე პროცესები, ქვეყნის სოციალური – ეკონომიკური და პოლიტიკური რყევები, არქიტექტურული განათლება, მორალი, ეთიკა, მოგონებები. ადამიანური სითბო, კეთილგანწყობილება, იგრძნობა ქართველი და უცხოელი მეგობრებისა და კოლეგებისადმი მიძღვნილ ესსეებში.

უაღრესად საინტერესოა ორტომეული – **„ცხოვრების ფურცლები",** რომელიც ავტორის დღიურებიდან ამონაკრებია, დღიურებიდან, რომლებსაც ბ-ნი ვახტანგი 1967 წლიდან, ყოველდღიურად წერდა და რომელიც დღეისთვის 66 სქელტანიან „რვეულს" მოიცავს. ეს არის ქვეყნის უახლოესი პერიოდის მატიანე. „ცხოვრების ფურცლები" სცილდება არქიტექტორთა და ხელოვანთა ინტერესების სფეროს და იწვევს ფართო საზოგადოების ინტერესს. მათში უშუალობითა და გულწრფელობით აღწერილი და შეფასებულია ქვეყნის რეალობა, მისი ავ-კარგი 1967 წლიდან დღემდე. ეს არის ისტორიის ფრაგმენტები, დანახული და განცდილი, არა ისტორიკოსის, არა პოლიტიკოსის, არამედ შემოქმედის, არტისტის მიერ.

**„ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია"** (ქართული არქიტექტურა 2004-2012 წლები) – როდესაც ეს წიგნი მოევლინა ქართულ კულტურას, მას არქიტექტორთა დიდმა ნაწილმა **ანალიტიკური აზროვნების ეტალონის სტატუსი მიანიჭა.** წიგნს, ქართული არქიტექტურის, კულტურის ვერცერთი მკლევარი გვერდს ვერ აუვლის. ესაა პრაქტიკოსი არქიტექტორის მეცნიერული ანალიზი, უზუსტესი ფაქტებით და, მისთვის ჩვეული, ობიექტური, პროფესიული დასკვნებით. დღეს ეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

ვახტანგ დავითაიასათვის ღვთის მიერ ბოძებული დანახვისა და მადლიერების ნიჭის გამოვლინებაა წიგნები: **„იაპონური დღიური"** და **„ამერიკული დღიური".** მოუსმინეთ თავად ავტორს:

ვახტანგ დავითაიას ყველა წიგნი მიძღვნაა. **„იაპონური დღიური"** მიუძღვნა მეგობარს, XX საუკუნის ერთ-ერთი საოცრების, შო-ჰონდოს ტაძრის შემქმნელს **კიმიო იოკოიამას. „ჩანაწერები"** დიდი ქართველი ხუროთმოძღვრის **ივანე ჩხენკელის,** კაცის, რომლის მაღალ პროფესიონალიზმთან შერწყმული იყო ზნეობა, სამართლიანობა და კაცობა, სამადლობელია. **„არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილეს"** მესამე წიგნი მიუძღვნა მასწავლებელს, ომის გმირს, ზნეობის გმირს, სახიერებით, სამართლიანობით გამორჩეულ, არქიტექტურული თაობების აღმზრდელს, ბატონ **ირაკლი ციციშვილს,** მეოთხე წიგნი კი ეძღვნება **ბატონ გია ჯოხთაბერიძეს,** ვ. დავითაიაზე ფუნდამენტალური წიგნის გამომცემელს.

დაბოლოს, ლაკონური, გულწრფელი მიძღვნაა **„არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილეს"** მეორე წიგნი. **„ვუძღვნი ჩემს მეუღლეს, ნათელა გაჩეჩილაძეს, მისმა თანადგომამ, მოთმინებამ მომცა საშუალება, შემექმნა ის მცირედი, რისი შექმნაც შევძელი".**

ვახტანგ დავითაიას პუბლიცისტიკა რომელიც, ფაქტობრივად, დოკუმენტური პროზაა, ცალკე კვლევის საგანია, რომელსაც, ალბათ, მომავალი თაობა, მისი მოსწავლეები, შეასრულებენ.

ახალი ფორმაცია – საბაზრო ურთიერთობა, პროფესიულ საქმიანობაში, რადიკალურ ცვლილებებთან ერთად, ითხოვდა მნიშვნელოვან, მტკივნეულ ფსიქოლოგიურ გარდაქმნას.

ვახტანგ დავითაიამ შეძლო, შეენარჩუნებინა შემოქმედებითი სახე, უკომპრომისობა და ქართული არქიტექტურის ღირსეულად წარდგენა საერთაშორისო არენაზე.

მისი მრავალი რეგალიების, პრემიების თუ საპატიო წოდებების მიღმა, მისდამი ქართველი ხალხის უსაზღვრო მადლიერება და სიყვარული დგას...

**თამაზ დოგრაშვილი**

# ლიტერატურული კონკურსი „მუზა 2024"

**მწერალთა სახლის მიერ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსი „მუზა 2024" დასრულდა. მწერალთა სახლის ინფორმაციით, ჟიურის წევრები იყვნენ: მანანა კვაჭანტირაძე, ივანე ამირხანაშვილი, გიორგი ლობჟანიძე, პაატა ჩხეიძე, ლევან ბერიძე.**

გამარჯვებულები გახდნენ:

**წლის საუკეთესო რომანი – მაკა ჯოხაძე,** „ისკარიოტის ეკლები".

**წლის საუკეთესო პროზაული კრებული – ნინო გუგეშაშვილი,** „ჩაი ნანგრევებზე".

**წლის საუკეთესო პოეტური კრებული – ბადრი სულაძე,** „ძახველის სისხლი".

**წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა/ესეი – გიორგი ყარყარაშვილი,** „სამშობლოს ამარა".

**წლის საუკეთესო დებიუტი (აღმოჩენა) – სალომე ტაბატაძე** – სეხნიაშვილი, „ქარვა".




**წლის საუკეთესო თარგმანი – ნენე გიორგაძე,** კარლო კაჭარავას საიუბილეო ორენოვანი პოეტური კრებული და **ნინი ქუთელია, ლუციუს ანეუს სენეკა** „ფედრა".

**წლის საუკეთესო კრიტიკა/რეცენზია – მაია ჯალიაშვილი,** წერილები თანამედროვე ქართულ რომანზე.

**წლის საუკეთესო პიესა/ინსცენირება – სალომე კაპანაძე,** „მე არსად წავსულვარ".

**წლის საუკეთესო ინოვაციური ლიტერატურული პროექტი – კონსტანტინე გამსახურდია,** „ისტორიულ-ლიტერატურული ათინათები".

**ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის პრემია „მუზა" გადაეცა პოეტსა და მთარგმნელს ნუნუ გელაძეს.**

# რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის" კონკურსის გამარჯვებულები

**რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის" კონკურსი წელს მეთხუთმეტედ გაიმართა. ორგანიზატორების ინფორმაციით, გამარჯვებულები ორ ნომინაციაში გამოვლინდნენ.**




სტანდარტულ ნომინაციაში პრემიები ასე განაწილდა:

I პრემია – **ნინო მანძულაშვილი** („ასული");

II პრემია – **გიორგი პაპუაშვილი** („ჩუმი ნაბიჯების ხმა");

III პრემია – **ქეთი გაბინაშვილი** („ზოოპარკის ავტობუსი").

ნომინაცია „საბავშვო", გამარჯვებული ავტორია: **თინათინ ლომთაძე** – „ბებო".

დიპლომებით და პრიზებით დაჯილდოვდნენ საუკეთესო მოთხრობების ავტორები: **ეკა უკლება** („აღსარება"), **ნათია ჯიქურაშვილი** („მამა"), **სანდრო უსტიაშვილი** („სალოცავი ნიში"), **ნათია ლურსმანაშვილი** („გაგუაწვერა"), **თეა ირემაშვილი** („ტყუპები და წივილა").

პრიზები დააწესეს რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის" კონკურსის ქველმოქმედმა ხელოვანებმა: მხატვარმა რეზო (ემელიანე) ადამიამ, ხელნაკეთი სამკაულებისა და აქსესუარების სახელოსნოს „ზილფი ჰენდმეიდის" დამფუძნებელმა ფატი კახნიაშვილმა, მხატვარმა, ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიის ნომინანტმა ლელა ტაბლიაშვილმა, საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების სახელით – ბესიკ ღვინაშვილმა.

უკვე მეოთხე წელია, რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის" კონკურსზე მხოლოდ ახალგაზრდა მონაწილეებისთვის, წახალისების მიზნით, გაიცა ფულადი პრემია – 300 ლარი, რომელიც დააწესა იტალიის პავიის უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების დეპარტამენტის მოლეკულური ბიოლოგიის პროფესორმა, მწერალმა სოლომონ ნერგაძემ.

სოლომონ ნერგაძის პრემია გადაეცა **ნათია ლურსმანაშვილს** („გაგუაწვერა").

„ქართულ მწერლობაში შეტანილი წვლილისათვის", დაჯილდოვდა მწერალი და პუბლიცისტი **ვანო ჩხიკვაძე**.

ჟიურის შემადგენლობა: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი (თავმჯდომარე), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო გიორგაძე, მწერალი და ფილოლოგი ნინო არსენაშვილი, პოეტი ჯუმბერ გოგრიჭიანი (ჯუბა ღებელი).

ჟურნალ „ანეულის" მთავარმა რედაქტორმა, კონკურსის დამაარსებელმა თამარ შაიშმელაშვილმა მიმოიხილა კონკურსის 15-წლიანი გზა და ტენდენციებზე გაამახვილა ყურადღება. ჟიურის თავმჯდომარემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თემურ ჯაგოდნიშვილმა შეაჯამა ჟიურის მუშაობა და ისაუბრა გამარჯვებულ მოთხრობებზე.

სიტყვით გამოვიდნენ მწერლები და ჟურნალ „ანეულთან" არსებული ლიტერატურული გაერთიანების წევრები: ნინო არსენაშვილი, ივანე ჯაფარიძე, ბაღათერ არაბული, ზაალ ბოტკოველი, ვანო ჩხიკვაძე, ნინო ქუთათელაძე, თამარ მიქაძე, გიორგი ნატროშვილი, ნონა მაქაცარია, ელისაბედ ჯავახიშვილი, ზეინაბ ძიძიშვილი, ნინო მამარდაშვილი, ბელა ალანია და სხვები.

კონკურსის დამფინანსებელია თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

მხარდამჭერია საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება.

# ირმა გიგანი ვატიკანში დაუკრავს

**პიანისტ ირმა გიგანის შემოქმედებით ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია – ხელოვანი რომში, ვატიკანის ორგანიზებით დაგეგმილ საიუბილეო კონცერტზე დაუკრავს.**

„მინდა, საოცრად გამორჩეული და სრულიად დაუვიწყარი ამბავი გაგიზიაროთ:

18 იანვარს ვარ მიწვეული რომში, ვატიკანის (**Vatican City**) ორგანიზებით დაგეგმილ საიუბილეო კონცერტზე, რომელიც გაიმართება **Sala dei Cento Giorni**-ში, იტალიის და მთელი მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ მარგალიტში, მოხატული გენიალური **Giorgio Vazari** -ს მიერ.

შევასრულებ სოლო პროგრამას, ბახის, შოპენის და რახმანინოვის ნაწარმოებებს და ასევე კამერულ მუსიკას (ფრანკის სონატას ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის, ასევე ერნესტ ბლოხის და პაგანინის ნაწარმოებებს) არაჩვეულებრივ მევიოლინე **Yerassyl Khamit**-თან ერთად".

**წარმატებები ვუსურვოთ ქართველ ვირტუოზს!**



# ადგილწარმოშობის დასახელება

## ასხის მთის სულგუნი

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აქვეყნებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

**განაცხადის** № 3521/6
**განაცხადის შეტანის თარიღი:** 2023 05 18
**ადგილწარმოშობის დასახელება:** „ასხის მთის სულგუნი“
**საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია** – ყველი
**განმცხადებლის სახელი და მისამართი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159,
თბილისი, საქართველო

**1. ადგილწარმოშობის დასახელება:** „ასხის მთის სულგუნი“

**2. მზა პროდუქტის და ნედლეულის დახასიათება**

ასხის მთის სულგუნი – გადაზელილი ყველი (ჩედერიზებული ტიპის ყველი), რომელიც მზადდება ძროხის რძისგან ან ძროხისა და თხის რძის ნარევისაგან. ის შეიძლება იყოს ორის სახის: შეუბოლავი ან შებოლილი.

**3. ორგანოლეპტიკური მახასიათებლები**

**გემო** – სუფთა, გამოკვეთილად რძემჟავური, ზომიერად მარილიანი, სასიამოვნო, ასხის მთის სულგუნისათვის დამახასიათებელი, არ დაჰკრავს კვეთის ან სულგუნისათვის არადამახასიათებელი მომჟავო გემო.

შებოლილი ასხის მთის სულგუნი ზომიერად, მაგრამ ოდნავ უფრო მეტად მარილიანია, შეუბოლავ ასხის მთის სულგუნთან შედარებით. აქვს შებოლილი პროდუქტისათვის დამახასიათებელი არომატი.

**სუნი** – სასიამოვნო, დამახასიათებელი სულგუნისთვის. ნედლი რძისა და ნაღების კარგად გამოხატული არომატების ნაზავი, მადის აღმძვრელი განსაკუთრებული სურნელი.

შებოლილი ასხის მთის სულგუნისათვის დამახასიათებელია ბოლის სუნი, რომელიც სრულად ვერ ფარავს შეუბოლავი ასხის მთის სულგუნისათვის დამახასიათებელ არომატს.

**ფერი** – მთელი მასა თანაბარი ფერის – თეთრიდან მოყვითალომდე.

შებოლილი ასხის მთის სულგუნი გარედან მოყავისფრო-ოქროსფერი, ხოლო შიგნითა ნაწილი – მოყვითალო შეფერილობის.

**ტექსტურა** – ზომიერად მკვრივი, ელასტიკური და ფენოვანი (ადვილად განცალკევებადი), წათხის ყველისთვის დამახასიათებელი ნასვრეტების გარეშე. დასაშვებია ფენებს შორის მცირე ზომის სიცარიელეები, რომელიც წარმოიქმნება გადაზელვის პროცესში. შებოლილი ასხის მთის სულგუნის ტექსტურა – მაგარი, არაფხვნადი, რამდენადმე ელასტიკური.

**ფორმა** – დაბალი ცილინდრის ფორმის, გლუვი, ქერქის გარეშე.
დიამეტრი – 15-20 სმ;
სიმაღლე – 3,5-6,5 სმ;
მასა – 0,5-1,5 კგ.
გამონაკლისის სახით დასაშვებია პარამეტრებიდან მცირეოდენი გადახრა.

**მოთხოვნები ნედლი რძის მიმართ**

ასხის მთის სულგუნის დასამზადებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ძროხის მოუხდელი რძე ან ძროხისა და თხის მოუხდელი რძის ნარევი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**ძროხის რძის, ძროხის და თხის რძის ნარევის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები**

| რძის წარმოშობა | ხვედრითი წონა, არანაკლებ (გ/სმ3) | უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა, (%), არანაკლებ | ცხიმიანობა (%), არანაკლებ | მჟავიანობა, არაუმეტეს (°T) |
|---|---|---|---|---|
| ძროხის რძე | 1,027 | 8,5 | 3,2 | 21 |
| ძროხის და თხის რძის ნარევი | 1,028 | 9,3 | 3,6 | 23 |

**ყველის ქიმიური შედგენილობა**

ასხის მთის სულგუნი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
ტენი – არაუმეტეს 50%;
ცხიმი მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 45%;
მარილის შემცველობა – 1-5%.
შებოლილი „ასხის მთის სულგუნი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
ტენი – არაუმეტეს 40%;
ცხიმი მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 52%;
მარილის შემცველობა – 3-5%.

**III. პროდუქტის დამზადების მეთოდის აღწერა**

ასხის მთის სულგუნი მზადდება ჯანმრთელი ცხოველების რძისაგან, კერძოდ, ძროხის მოუხდელი რძის ან ძროხისა და თხის მოუხდელი რძის ნარევისაგან.

რძის ჩაკვეთა მიმდინარეობს 30-35 ტემპერატურაზე წინასწარ დამზადებული ცხოველური წარმოშობის კვეთით. მზა დელამო უნდა იყოს მკვრივი და გაჭრისას უნდა გამოყოფდეს გამჭვირვალე ფერის შრატს. წარმოქმნილ დელამოს ჭრიან ხელით ან ჯოხით, ურევენ 5-7 წთ-ის განმავლობაში, სანამ მიღებული მარცვლების ზომა თხილის ნაყოფის ზომაზე მეტი და კაკლის ნაყოფის ზომაზე ნაკლები გახდება. მიღებულ მარცვალს აცხელებენ 36-38 ტემპერატურამდე. დელამოს დაჭრის, მარცვლის დაყენების და დამუშავების პროცესის საერთო ხანგრძლივობა არ აღემატება 10-15 წთ-ის. დამუშავების ბოლოს აცილებენ შრატის 70-80%-ს, ურევენ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე და ტოვებენ მცირე მოცულობის შრატში მოსამწიფებლად (დაახლოებით 140 -150°T -მდე). სასულგუნე მასის მომწიფება გრძელდება 3-5 სთ-ის განმავლობაში, რაც დამოკიდებულია რძის მომწიფების ხარისხზე და წელიწადის დროზე.

სასულგუნე მასის მომწიფების ერთ-ერთი მაჩვენებელია მასში ნასვრეტების წარმოქმნა და დნობის სინჯი, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: 20-30 გრ. მასის მოსამწიფებელი ყველის ნაჭერს 3-5 წუთით დებენ 70-80°C ტემპერატურის ცხელ წყალში. მომწიფებული მასა კარგად უნდა იწელებოდეს.

მომწიფებულ სასულგუნე მასას ჭრიან თხელ ფენებად, ათავსებენ 75-80°C ტემპერატურამდე გაცხელებულ წყალში, ურევენ სხვადასხვა ფორმის ფოთლოვანი ხის გლუვზედაპირიანი ჯოხით მანამ, სანამ არ მიიღებენ ერთგვაროვან წელვად ცომისებრ მასას, ამოაქვთ სითხიდან, ჭრიან საჭირო ზომებად, საგულდაგულოდ გადაზელავენ ხელით, ათავსებენ ყალიბებში, აგრილებენ ცივი წყლით. ფორმირების შემდეგ სულგუნის კვერეულებს აწყობენ 16-20% კონცეტრაციის მარილწყალში, 8-12°C ტემპერატურაზე.

დამარილების შემდეგ ასხის მთის სულგუნს რეალიზების წინ გასაშრობად ათავსებენ რამდენიმე სთ-ის განმავლობაში მშრალ ადგილას, რომელიც კარგად ნიავდება. დასაშვებია ხის თაროების გამოყენება.

**შებოლვა**

დამარილების შემდეგ სულგუნი შეიძლება შეიბოლოს ფოთლოვანი ხე მცენარის, როგორც წესი, მურყანის (**Alnus**), წიფლის (**Fagus**), რცხილას (**Carpinus**) და სხვ. არა წიწვოანი ხის მერქნის ან მათი ნახერხის გამოყენებით. დასაშვებია ცივი და ცხელი შებოლვის მეთოდების გამოყენება.

ცივი შებოლვის მეთოდის გამოყენებისას პროცესი გრძელდება 72 საათიდან 1 კვირამდე.

ცხელი შებოლვის მეთოდის გამოყენებისას პროცესი გრძელდება 1 – 12 საათს.

ასხის მთის სულგუნი შებოლვის შემდეგ შეიძლება გაიყიდოს, როგორც „შებოლილი ასხის მთის სულგუნი“, ან დასახელებას შეიძლება დაემატოს ტერმინი „შებოლილი“ (**smoked** – ინგლ.), თუ ის აკმაყოფილებს წინამდებარე სპეციფიკაციის მოთხოვნებს.

**IV. გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა**

ასხი წარმოადგენს ყველაზე ვრცელ, მაღალ და რთულ კირქვულ მთიან მასივს დასავლეთ საქართველოში, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 2,200-2,500 მეტრ სიმაღლეზე. ეთნოგრაფიულად იგი მოქცეულია სამეგრელოში (მარტვილის რ-ნი), ლეჩხუმსა (ცაგერის რაიონი) და იმერეთში (ხონის რაიონი). მასივი განედურად ვრცელდება მდ. ტეხურასა და ცხენისწყლის ხეობებს შორის, ხოლო მერიდიანულად ჩხოროწყუ-ჯონოულის ხეობებსა და მთათაწინეთს შორის. მასივის სიგრძე და სიგანე 27x25 კმ-ია, უმაღლესი მწვერვალია გოდირაკილი (ზღვის დონიდან 2520 მ). სრული ფართობია 413 კმ², ხოლო მთიანი სამეგრელოს ფარგლებში – 287 კმ².

რძისა და ყველის წარმოების არეალი მოცემულია რუკაზე.

**რუკა – ასხის მასივი**



**V. კავშირი გეოგრაფიულ არეალთან**

ასხის მთის ლანდშაფტურ-გეობოტანიკური ზონა მოიცავს სუბალპურ და ალპურ მდელოებს. რძის მიღება, გადამუშავება და ყველის დამზადება ხდება ასხის მთის მასივის გეოგრაფიულ საზღვრებში.

ასხის მთის სულგუნის დასამზადებლად გამოყენებული რძე მიიღება, ძირითადად, მეგრული წითელი ჯიშის ძროხის (ან მისი ნაჯვარი) ან მეგრული ჯიშის თხისგან, ბარიდან მთაში ასვლის შემდეგ, მაისის მეორე ნახევრიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე, რა პერიოდშიც ცხოველები იკვებებიან მხოლოდ სუბალპური და ალპური საძოვრის ბალახით. საძოვრის ბალახნარის ცენოზი გამოირჩევა მრავალფეროვნებით. აქ გვხვდება მარცვლოვნები, პარკოსნები, ისლისებრნი და ნაირბალახოვნები; მარცვლოვნები მრავალი ათეული სახეობითაა წარმოდგენილი, რომელთა შორის დომინანტობს საძოვრის კოინდარი (**Lolium perenne**), მდელოს თივაქასრა (**Poa pratensis L.**), მდელოს მელაკუდა (**Alopecurus pratensis L.**), მხოხავი ჭანგა (**Agropyrum repens (L.) P. B.**), თეთრი ნამიკრეფია (**Agrostis alba L.**) და სხვ; საკმაო წილი უკავია პარკოსნებს, რომელთაგანაც უპირატესად გვხვდება სამყურას სახეობები (**Trifolium spp**).

სათიბ-საძოვრები, ფლორისტულ სიმდიდრესთან ერთად, ხასიათდება მიწისზედა ფიტომასის მოცულობის მაღალი მაჩვენებლით, რომელიც გამოირჩევა მაღალი კვებითი ღირებულებით.

საძოვრების მცენარეული საფარი, რომლითაც იკვებება ცხოველი, გადამწყვეტ გავლენას ახდენს რძის საგემოვნო თვისებებზე, შესაბამისად, ასხის

მთის სულგუნის ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებზე.

**ადამიანური ფაქტორები**

სულგუნის წარმოების კულტურა დასავლეთ საქართველოდან – სამეგრელოდან მოდის. ტრადიციული ცოდნა თაობიდან თაობებს გადაეცემოდა და საქართველოს სხვა რეგიონებშიც გავრცელდა.

მეგრულ საქონელს თავის დროზე პლუტარქეც იცნობდა. ბერძნული ისტორიოგრაფია და გეოგრაფიული მეცნიერება კოლხურ საქონელს მაღალპროდუქტიულად თვლიდა. მესაქონლეობის დიდ კულტურაზე მიუთითებენ მისიონერები – არქანჯელო ლამბერტი, ჯუდიჩე მილანელი, შარდენი, მური და სხვ. საქონლის ჯიშებისათვის კოლხი კაცი გამოყოფდა მთისა და ბარის სანახებს. ჰქონდა მესაქონლე მეურნეობის შესაფერისი ადგილები, ძოვების დრო და რეჟიმი. საქონელი კოლხ მეჯოგეს ჭალადიდის და გურიის ზღვისპირა, საზამთრო საძოვრებიდან თანდათანობით აჰყავდა საფუნო საძოვარზე, მთის ტყიან მასივებში და ასე ძოვებით არეკავდა საზაფხულო იალაღებზე – ასხზე, კემლაკეისარზე, მინგარიესა და სხვა მთებში. აქ საქონელი მთელ ზაფხულს ატარებდა. ამ გადაადგილების, გადადენის და ძოვების შესაფერისად ჰქონდა მოწყობილი მეურნე კაცს სადგომები, ქართები, თუ აგარაკები. ჰქონდა ძოვების რეჟიმი შემუშავებული, რომლის დარღვევა არ შეიძლებოდა. ეს რეჟიმი და კულტურა ათასწლობით იყო დაცდილი[1].

1. „საბატონო იყო თურჩუს და ასხის იალაღები. ასხის იალაღებზე განსაკუთრებული ბაჟი იკრიფებოდა, რომელიც დადიანის ხაზინაში შედიოდა. იალაღებზე მოსახლეობას გაშვებული ჰყავდა ძროხა, ცხვარი, ხარი, თხა, ცხენი“2..

2. ასხის მთაზე საუკუნეების მანძილზე განვითარებული იყო მეჯოგეობა3.

3. „ქვიბიის მთების ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე კავკასიონის სამხრეთი კალთის ყველაზე ვრცელი ასხის მასივს უკავია. იგი ტეხურსა და ცხენისწყალს შორის მდებარეობს. მისი უმაღლესი მწვერვალი გადრეკილა (გოდირაკი) ზღვის დონიდან 2519 მეტრზეა, ხოლო თვით ასხის საძოვარი – 2100 მეტრზე. ამ საძოვარზე გადის სამეგრელოს საზღვარი იმერეთსა და ლეჩხუმთან, ამიტომ იგი სამი სახელითაა ცნობილი. ლეჩხუმლებისათვის მისი სახელია „ასხი“, რაც საქონლის ასხმასთან არის დაკავშირებული. იმერლებისათვის კი „მეედანი“, (მოედანი), რაც ნიშნავს სწორ, ვაკე ადგილს. მეგრული სახელწოდებაა „შუშეი“ (შიშველი), რაც გულისხმობს ცარიელ მინდორს. საერთო ხმარებასა და ლიტერატურაში დამკვიდრდა სახელწოდება – ასხი“. 4

4. ასხის მასივი, მიგარიას, ყვირას, ოხაჩკუეს კირქვიან მასივებთან ერთად, ავტოქტონური ფლორის ჩამოყალიბების და ფორმირების მნიშვნელოვანი არეალია. ასხის მთის გეოლოგიური სტრუქტურის გავლენის შესახებ ბალახოვანი საკვების ხარისხსა და თვისებებზე აღწერილია „სამეგრელოს კირქვიანი მასივების (ოხაჩქუე, ყვირა, გაუჩა, წულიში, მიგარია, ასხი) ბოტანიკურ-გეოგრაფიული პროფილი, ეკოტოპოლოგია, ავტოქტონური კალცეფილური ფლორის მრავალფეროვნება (დასავლეთ საქართველო, სამეგრელო).“5

5. მეჯოგეების ცხოვრების წესი და ყველის მზადების პროცესი აღწერილია ვიდეოში (ვ. გაბუნია: https://www.youtube.com/watch?v=x7UVqPP1tP0)

6. სამეგრელოს მთიანეთში, ასხის ზეგნის საზაფხულო საძოვრებზე, სულგუნს დღესაც უძველესი ტრადიციის მიხედვით ამზადებდნენ და ინახავენ ან ბოლავენ მარტვილის ან ქუთაისის ბაზარში წაღებამდე.[6]

**VI. მტკიცებულება პროდუქტის წარმომავლობის შესახებ – მიკვლევადობა**

ა. ბიზნესოპერატორის რეგისტრაცია დაცული ადგილწარმოშობის დასახელების „ასხის მთის სულგუნი“ გამოყენების უფლების მქონე პირთა რეგისტრაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. რეესტრში შეტანილი უნდა იყოს ბიზნესოპერატორის რეკვიზიტები – დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია. სია ექვემდებარება რეგულარულ განახლებას.

ბ. **მიკვლევადობის მოთხოვნები** – წველის, ყველის დამზადების, მომწიფების, დაჭრისა და შეფუთვის ყველა ეტაპი ხორციელდება დადგენილი ტერიტორიის ფარგლებში, კონტროლისა და მონიტორინგის პირობებში, რათა უზრუნველყოფილ იყოს პროდუქტის განსაკუთრებულობა / სპეციფიკურობა.

პროდუქტის მიკვლევადობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს წველის, ყველის დამზადების, მომწიფების, შეფუთვის ან დაჭრის და შეფუთვის და დისტრიბუციის ეტაპებზე.

მიკვლევადობის განხორციელებისათვის, ბიზნესოპერატორს, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია დაცული ადგილწარმოშობის დასახელების „ასხის მთის სულგუნის“ წარმოების ნებისმიერ ეტაპთან, ვალდებულია ჰქონდეს პროდუქტის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებთან დაკავშირებული სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციას და ჩანაწერებს, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს რძისა და ყველის წარმოშობის, სპეციფიკაციების და წარმოების პირობების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება, რომელსაც, მოთხოვნისთანავე, წარუდგენს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს.

**VII. შეფუთვისა და ნიშანდების წესები** საექსპორტოდ განკუთვნილ პროდუქციაზე აღნიშნული უნდა იყოს:

ქართულად – **ასხის მთის სულგუნი**
ინგლისურად – **Askhi Mountain Sulguni**
რუსულად – **Сулгуни с горы Асхи**

**შეფუთვა**

ასხის მთის სულგუნი მომხმარებელს შეიძლება მიეწოდოს მთლიანი ან დაჭრილი სახით, შეფუთული ან შეფუთვის გარეშე. ფუთავენ პოლიეთილენის, პოლიპროპილენის, პოლიამიდის და სხვ. აპკებით. შეფუთვამ არ უნდა დააზიანოს ყველის ტექსტურა.

**ნიშანდება**

ბაზარზე განთავსებული დაცული ადგილწარმოშობის დასახელების აღნიშვნით, რეგისტრირებული თითოეული კვერეული სულგუნის ან სულგუნის ნაჭრის შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთან, ასხის მთის სულგუნის თითოეული კვერეულის ან ნაჭრის დასახელების „ასხის მთის სულგუნი“ მხედველობის არეში მითითებულ უნდა იქნეს სიტყვები – „დაცული ადგილწარმოშობის დასახელება“ და სახელმწიფო ხარისხის ნიშანი, რომლის გამოყენება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

**VIII. კონტროლის ორგანოები**

დაცული ადგილწარმოშობის დასახელება ასხის მთის სულგუნის სპეციფიკაციებთან და მისი წარმოების მახასიათებლებთან შესაბამისობის კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული თვითკონტროლით, რომელსაც ახორციელებს დაცული ადგილწარმოშობის დასახელება „ასხის მთის სულგუნის“ მწარმოებელი, ასევე, გარე კონტროლით, ანუ სახელმწიფო კონტროლით, რომელსაც ახორციელებს კომპეტენტური ორგანო, კერძოდ, სურსათის ეროვნული სააგენტო (მის.: მარშალ გელოვანის ქ. №6, 0159, თბილისი, საქართველო).

1 გ. ელიავა, „სამეგრელო“, II ტომი, მესაქონლეობის ხალხური სელექციის ტრადიცია და მისი აღდგენის პერსპექტივები. გვ 562.
2 გ. ელიავა, „სამეგრელო“. I ტომი, გვ 51.
3 კ. ბოროზდინის, რაფ. ერისთავისა და მურიე „ბატონყმობა სამეგრელოში“, გვ. 20. https://www.scribd.com/document/437035094/ბატონყმობა.
4 გ. ბასილაია, დ. ბასილაია „ჩვენი სალხინო და სალხინოელები“, გვ 15.
5 ლ. თირქია, თ. თოლორდავა, გვ. 8-9.
6 დაგლას ე. მორისი, ასხის ზეგნის სულგუნი.

## ნინო ლაცაბიძე:

# რუსთავის კულტურის სახლის ისტორიული შენობის განახლების უმსხვილესი პროექტი იწყება...



**რუსთავში კულტურის სახლის ისტორიულ შენობას რესტავრაცია-რეაბილიტაცია უტარდება. პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო და გასული საუკუნის 50-იან წლებში აშენებულ კულტურის სახლს, სრული რესტავრაცია-რეაბილიტაცია ჩაუტარდება.**

პროექტის მიმდინარეობას გაეცნენ რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე და პარლამენტარი ირაკლი შატაკიშვილი.

,,რუსთავის კულტურის სახლის ისტორიული შენობის რეაბილიტაციის პროექტი, რომელსაც ჩვენი გუნდი ვახორციელებთ, თავისი მასშტაბით რუსთავისთვის უპრეცედენტოა. სრულად რესტავრირებული და რეაბილიტირებული კულტურის სახლი, იმ ახალგაზრდებს მოემსახურება, რომლებიც სახელოვნებო სფეროში არიან დაკავებულნი.

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში აგებული ეს ისტორიული შენობა, ათწლეულების განმავლობაში იყო უფუნქციო. რეაბილიტაციისა და იმ ახალი კონცეფციის დანერგვის შემდეგ, რომელიც მერიის გუნდმა შევიმუშავეთ, კულტურის სახლი ახალ სიცოცხლეს შეიძენს და თანამედროვე სერვისებით დაუბრუნდება ჩვენს ქალაქს“, – განაცხადა ნინო ლაცაბიძემ.

ინფრასტრუქტურული პროექტით განსაზღვრულია საკონცერტო დარბაზის განახლება, მოეწყობა გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, გახმოვანება-განათების თანამედროვე სისტემა და სასცენო აპარატურა. სარემონტო სამუშაოები ჩატარდება შენობის შიდა ოთახებში, დაგეგმილია სახურავისა და ფასადის რეაბილიტაციაც. შენობის გარე პერიმეტრზე დაიგება დეკორატიული ფილები, მოეწყობა მწვანე სივრცეები და დასასვენებელი ზონა.

,,რუსთაველებმა კარგად ვიცით, რომ თანამედროვე რუსთავი და ეს შენობა ერთი ასაკისაა. კულტურის სახლი, თითქმის ყველა თაობის რუსთაველისთვის იყო განსაკუთრებული ადგილი და რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, ეს შენობა ახალ სიცოცხლეს შეიძენს. რუსთავის გუნდი სტრუქტურული რეფორმების მიმართულებით აქტიურად მუშაობს და ეს მიმართულება, სწორედ რეფორმის ერთ-ერთი ნაწილია. ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ ახალგაზრდებზე ზრუნვა და ხელოვნების სფეროს მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, ჩვენი გუნდისთვის განსაკუთრებულად პრიორიტეტულია“, – განაცხადა ირაკლი შატაკიშვილმა.

კულტურის სახლის ისტორიული ნაგებობა, რომელიც 1948 წელსაა აშენებული, რესტავრაციის შემდეგ ავთენტურობას შეინარჩუნებს.

პროექტის დასრულების შემდეგ, უფუნქციოდ დარჩენილი ძველი შენობის ადგილზე თანამედროვე მუსიკალური ლაბორატორია შეიქმნება. ინფრასტრუქტურული პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.



# სოხუმი თბილისთან ელექტროენერგიის მიწოდების გაზრდის შესაძლებლობას განიხილავს

**აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი ბგანბამ „ჩერნომორენერგოს“ წარმომადგენლებს დაავალა, ქართულ მხარესთან ელექტროენერგიის მიწოდების გაზრდის შესაძლებლობა განიხილონ.**

როგორც ადგილობრივი მედია წერს, საუბარია ზაფხულში მისაღები ელექტროენერგიის შემცირების ხარჯზე ზამთრის ლიმიტის გაზრდაზე, როგორც კი ამის საშუალებას ენგურჰესის გამომუშავება მისცემს.

პარალელურად, როგორც რუსული მედია იუწყება, ოკუპირებულმა აფხაზეთმა რუსეთს 2025 წელს ელექტროენერგიის უფასო მიწოდება სთხოვა.



რუსეთიდან აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკისთვის ელექტროენერგიის მიწოდება კონტრაქტით გათვალისწინებულ, წინასწარი გადახდის ფარგლებში ხდება, ამასთან, როგორც მედია წერს, კონტრაქტის 2025 წლისთვის გაგრძელების შესაძლებლობა ჯერ არ განიხილება.

# მშვიდობის ცეცხლი რომიდან საქართველოსაც მოსწვდა!

**მარადიულ ქალაქ რომში, ისტორიულ „Mercati di Traiano“-ში, ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის – „ბაკურიანი – 2025“-ის – დაწყებამდე 53 დღით ადრე „მშვიდობის ცეცხლის“ ანთების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა საქართველოს სპორტის მინისტრმა შალვა გოგოლაძემ, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტმა სპიროს კაპრალოსმა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა, „ბაკურიანი – 2025“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ, იტალიის მთავრობისა და ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებმა მიიღეს.**



ცერემონიაზე შალვა გოგოლაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. სპორტის მინისტრმა ისაუბრა „ბაკურიანი – 2025“-ის ორგანიზებაში საქართველოს მთავრობის ხელშეწყობის შესახებ და აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა მზადაა ფესტივალს მაღალ დონეზე უმასპინძლოს.

ღონისძიების ფარგლებში სპიროს კაპრალოსმა ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალების სიმბოლო – ზეთისხილის ხე გადასცა შალვა გოგოლაძესა და ლერი ხაბელოვს, რის შემდეგაც საზეიმოდ აინთო „მშვიდობის ცეცხლი.“ ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს ფიგურულ ციგურაობაში 2017 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ბრინჯაოს პრიზიორმა **ნიკა ეგაძემ** და სამთო-მოთხილამურემ **ანასტასია მირიანაშვილმა.**

„ბაკურიანი – 2025“ 9-16 თებერვალს გაიმართება და ახალგაზრდა სპორტსმენები ზამთრის სპორტის რვა სახეობაში იასპარეზებენ. საქართველოს მთავრობისვე ხელშეწყობით ფესტივალისთვის ბაკურიანში, თბილისსა და ბათუმში მოეწყო თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ საქართველო გახდება ევროპაში მერვე ქვეყანა, რომელსაც ჩატარებული ექნება ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ორივე მნიშვნელოვანი ფორუმი როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის სახეობებში.

✦ ✦ ✦

**ტრადიციისამებრ, ბაკურიანში წარმატებით ჩაიარა მომავალი ფორუმის გენერალურმა რეპეტიციამ – მოგულის დისციპლინაში მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგმა ეტაპმა 20-მდე ქვეყნის 100-მდე წარმომადგენლის მონაწილეობით უმაღლესი შეფასებით, რომელიც ამერიკელებმა (ქალები) და შვედებმა (ვაჟები) მოიგეს.**

## ◎ ევროლიგა

# საშობაო ანტრაქტი

**ვირტუს გოლონიას მთავარ მწვრთნელად დუშკო ივანოვიჩის დანიშვნამ, რომ იტყვიან, სულზე მოუსწრო და პირველი წრის ფინიშზე ესპანურ გრანდებთან ერთბაშად 2 გამარჯვება მოიპოვა, ანუ იმდენი, რამდენიც მთლიანად წინა 15 მატჩში. საწყენი მხოლოდ ის გახლავთ, რომ პარტნიორებს 1 თვით გამოაკლდა გუნდის ტრავმირებული ქართველი ლიდერი თორნიკე შენგელია და იტალიელები საშობაო არდადეგებზე მის გარეშე მიღწეული მსუყე წარმატებით გავიდნენ, რის შედეგადაც თავი დააღწიეს სატურნირო ფსკერს და უკვე 2 კონკურენტს უსწრებენ, საპლეიოფო ზონას კი რეგულარული სეზონის ბოლომდე გასამართავი 17 შეხვედრის წინ 5 მოგებაღა აშორებთ. ასეთ ვითარებაში დანანებით როგორ არ გავიხსენოთ მთელ რიგ თამაშებში ბოლო წუთებზე წაგებული ბრძოლები.**

**ვირტუსი – ბარსელონა 86:81**

ნერვების ომში კვანძი დრამატულად გაიხსნა უკანასკნელ წამებზე, მასპინძლებს კი კორდინიემ, ჟიჟიჩმა, პაიოლამ, მორგანმა და ბელინელიმ უშველეს, ხოლო კლაიბერნს სტუმრებმა კინაღამ თვალი ამოთხარეს და მისი მდგომარეობა ამ დღეებში გამოკვლევების შემდეგ გახდება ცნობილი.

**სატურნირო ცხრილი**: მონაკო, პარიზი, ბაიერნი, ოლიმპიაკოსი - 11-11, პანათინაიკოსი, ჟალგირისი, ეფესი, ფენერბახჩე – 10-10, ბარსელონა, მილანი, ცრვენა ზვეზდა – 9-9, რეალი, ლიონი – 8-8, პარტიზანი, ბასკონია – 7-7, ვირტუსი, მაკაბი – 4-4, ალბა – 3 გამარჯვება.

**შენიშვნა:** პარიზი – ფენერბახჩე გადაიდო.

## ◎ ლეგენდები

# ნეტფლიქსზე – პირველ-წყაროდან

**პოპულარული ამერიკული სტრიმინგ-პლატფორმა ნეტფლიქსი მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანზე, დიდი მუზარადის ტურნირების 22-გზის გამარჯვებულ რაფაელ ნადალსა და ლეგენდარულ მოკრივე მაიკ ტაისონზე დოკუმენტურ ფილმებს გადაიღებს. აი, რას იუწყება მომავალი პროექტის შესახებ სერვისის ოფიციალური ექაუნთი საკუთარ სოციალურ ქსელში:**

„ესპანელმა გენიოსმა ჩოგბურთის ისტორია გადაწერა. ახლა დადგა დრო, მან თავად მოგვითხროს საკუთარი ეპოქის თაობაზე. ნეტფლიქსის მომავალ დოკუმენტურ ფილმში რაფამ თავის მოგზაურობასა და ზღაპრული გზის ბოლო თავზე უნდა გვიამბოს.

რაც შეეხება ნოკაუტების მეფის შესახებ სერიალს, იგი გამოიკვლევს იმ ადამიანს, რომელიც სკანდალურ ხელთათმანებს მიღმა იმალება. დიახ, მაყურებელი შეიტყობს ნიუანსებს მწვერვალზე მისი ელვისებური ასვლიდან ყველაზე ცუდი პიროვნების სტატუსამდე დაშვების, ასევე პირადი პრობლემების, მათ შორის ციხეში გამოკეტვის თაობაზე. საუბარი იქნება აგრეთვე ფინანსური აბლაბუდას, ნარკოტიკების, გახმაურებული სენსაციური ამბების შესახებ რინგსა თუ მის გარეთ, საბოლოო ჯამში კი – მონანიებაზე“...

**მაიკ ტაისონი** – „შემოთავაზებულ დოკუმენტურ ფილმში ჩემი ისტორიის გადმოცემა რთული, მაგრამ სასიამოვნო მოგზაურობა იქნება. რადგან ადამიანთა უმრავლესობას ზედმეტად ეშინია საკუთარ ცხოვრებაზე ობიექტურად მსჯელობის, უნდა შეგვეძლოს თვალებში ჩავხედოთ მას, რომელიც სარკიდან გვიყურებს. მართლაც, უნდა მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილებები, რათა ხალხს სრული ანგარიში ჩავაბაროთ ამ ცხოვრებაში ჩვენ მიერ შეტანილ წვლილზე. ეს გახლავთ იდეალური პლატფორმა საიმისოდ, რომ პირადი ისტორია გაგაცნოთ, მისი გლობალური დაფარვიდან გამომდინარე“...

# საფეხბურთო მოზაიკა

**ფიფამ მიმავალი სეზონის ბოლო სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც ვილი სანიოლის გაწვრთნილი ჩვენი ეროვნული გუნდი 1362 ქულით 68-ე ადგილზეა.**

ჯვაროსნები ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ნოემბერში გამართული მატჩების შემდეგ (უკრაინასთან – 1:1, ჩეხეთთან – 1:2) 3,35 პუნქტის დაკარგვით 1 საფეხურით დაქვეითდნენ.

რაც შეეხება აღნიშნული ტურნირის „ბ“ დივიზიონში დასარჩენ პლეი-ოფში ჩვენებურთა მომავალ მეტოქე სომხეთს, იგი მე-100 პოზიციაზეა, მუნდიალ – 2026-ის შესარჩევ ეტაპზე ოპონენტები კი ასე დახარისხდნენ: ესპანეთი – მე-3, ნიდერლანდები – მე-7, თურქეთი – 28-ე და ბულგარეთი – 82-ე.

**საუკეთესო ათეული:** არგენტინა, საფრანგეთი, ესპანეთი, ინგლისი, ბრაზილია, პორტუგალია, ნიდერლანდები, ბელგია, იტალია და გერმანია.

✦ ✦ ✦

**ჯვაროსან ქალთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ირის ანტმანსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის თანამშრომლობის ახალი ხელშეკრულება გაფორმდა. გაგრძელებული კონტრაქტის თანახმად, იგი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 2026 წლის ჩათვლით იმუშავებს.**

ებრაელი სპეციალისტი ჩვენს გუნდს შარშანდელი აპრილიდან ავარჯიშებს და მისი ხელმძღვანელობით გამართული 18 შეხვედრიდან 8 მოვიგეთ, 3 ფრედ დავასრულეთ და 7 დავთმეთ. და მთავარი: სწორედ ჩვენი მეგობარი ქვეყნის შვილის სახელს უკავშირდება ისტორიაში პირველად მის შეგირდთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეი-ოფში გასვლა.

დავძენთ, რომ გაისად ერთა ლიგის გ2 ჯგუფში ვითამაშებთ, სადაც მეტოქეობას კვიპროსი, მალტა და ანდორა გაგვიწევენ.

✦ ✦ ✦

**გრძელდება ვალენსიას 24 წლის ვარსკვლავის გიორგი მამარდაშვილის აღიარების პროცესი.** იგი ამჯერად ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ გამოარჩია და მიმავალ სეზონში მსოფლიოს მესამე მეკარედ დაასახელა ემილიანო მარტინესისა (ასტონ ვილა) და უნაი სიმონის (ბილბაო) შემდეგ. შეგახსენებთ, რომ მამარდა, რომელიც ახლახან მამა გახდა, ბარძაყის კუნთზე მკურნალობს და ლა ლიგის აუტსაიდერ პარტნიორებს ნაახალწლევს დაუბრუნდება.

✦ ✦ ✦

**პორტალმა ტრანსფერმარკეტმა იტალიის სერია – ა-ს ყველაზე ძვირადღირებულთა ათეულში ხვიჩა კვარაცხელიას 85 მილიონი ევროთი მეორე ადგილი მიაკუთვნა.** აღსანიშნავია, რომ ნაპოლის ქართველი ლიდერის ფასი ბოლო მაჩვენებელთან შედარებით 5 მილიონითაა გაზრდილი, მთლიანობაში კი ელიტაში 5 წარმომადგენლით ინტერი მეწინავეობს. თვალშისაცემია ემპოლის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშის **საბა გოგლიჩიძის** პროგრესიც – იგი 3 მილიონით გაძვირდა და უკვე 8 მილიონი ღირს.

**საუკეთესო ათეული:** მარტინესი, კვარაცხელია, ბარელა, ლეაო, ბასტონი, ტურამი, ვლაჰოვიჩი, ბრემერი, დიმარკო, ლუკმანი.




✦ ✦ ✦

**საკლუბო ევროსეზონი პირველებმა კონფერენს ლიგის გუნდებმა დახურეს და სასიამოვნოა, რომ პლეი-ოფში როგორც გიორგი გოჩოლეიშვილის კოპენჰაგენი, ისე ლაშა დვალის აპოელი ითამაშებენ.**

რაც შეეხება უშუალოდ მერვედფინალს, მისი საგზური მოიპოვეს ჩელსიმ, გიმარაეშმა, ფიორენტინამ, რაპიდმა, იურგორდენმა, ლუგანომ, ლეგიამ და სერკლ ბრიუგემ, ხოლო აღნიშნული პატივის დასაუფლებლად იბრძოლებენ იაგელონია, შემროკი, აპოელი, პაფოსი, პანათინაიკოსი, ოლიმპია, ბეტისი, ჰაიდენჰაიმი, გენტი, კოპენჰაგენი, ვიკინგური, ბორაცი, ცელიე, ომონია, მიოლდე და ტსც. ტურნირი 13-20 თებერვალს განახლდება.

✦ ✦ ✦

**გერმანიის მე-2 ბუნდესლიგა. პადერბორნი – კარლსრუე 1:1. ბუდუ ზივზივაძემ უშუალო კონკურენტთან გოლს ასისტი დაუმატა და ბომბარდირთა დავას 12 გატანილი ბურთით ლიდერობს, მისი გუნდი კი წარმატებით განაგრძობს ბრძოლას ელიტაში დასაბრუნებლად.**

**იტალიის** სერია – ა. ჯენოა – ნაპოლი 1:2. **ხვიჩა კვარაცხელიამ** მუხლის ტრავმა მოიშუშა და ბოლო 20 წუთი ითამაშა.

**საფრანგეთის** თასი. ოცდამეთორმეტედფინალი. ფინი ორლუა (მე-4 ლიგა) – ლიონი 1:2. გადამწყვეტი ბურთი **გიორგი მიქაუტაძემ** გაიტანა, რომელიც შეცვლაზე შევიდა.

## არდავიწყება

# მარინე ხომერიკი



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერის, გამოჩენილი ენერგეტიკოსის, პედაგოგისა და მრავალი თაობის აღმზრდელის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ რევაზ არველაძის მეუღლე

**მარინე ხომერიკი**

ქალბატონი მარინე თავმდაბალი და დარბაისელი, მეუღლეზე, შვილებსა და ახალგაზრდებზე დღემუდამ მზრუნველი, ყველასთვის კეთილმოსურნე და შემწე გახლდათ. მისი სახელი დიდხანს იცოცხლებს ახლობლებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა გულებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უფალმა დაამკვიდროს ქალბატონი მარინეს უკვდავი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

**დავით გურგენიძე,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**რექტორი აკადემიკოსი**

---

საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ბატონი რევაზ არველაძის მეუღლე

**მარინე ხომერიკი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**მისამართი:** ი. აბაშიძის ქ. 21, I სად. III სართ.

**დაკრძალვა:** 23 დეკემბერს, 14:00 სთ.

**გამოსვენება: საბურთალოს კერძო სასაფლაოს ეკლესიიდან, უნივერსიტეტის ქ. (ახალი სპორტის სასახლის მოპირდაპირე მხარეს).**

---

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი** მწუხარებას გამოთქვამს კავშირის წევრის, საქართველოს ენერგეტიკოსთა დიდი ოჯახის გამორჩეული წევრის, ბატონი **რევაზ არველაძის** მეუღლის

**მარინე ხომერიკის**

გარდაცვალების გამო.

**საქართველოს ენერგეტიკის**
**ვეტერანთა კავშირი**

---

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია მწუხარებით აღნიშნავს და თანაგრძნობას უცხადებს აკადემიის საპატიო პრეზიდენტს, ბატონ რევაზ არველაძეს მეუღლის

**მარინე (დოდო) ხომერიკის**

გარდაცვალების გამო.

**საქართველოს ენერგეტიკის აკადემია**

---

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ ბატონ რევაზ არველაძეს, მეუღლის

**მარინე (დოდო) ხომერიკის**

გარდაცვალების გამო.

**მეგობრების ჯგუფი:**
**ანზორ ჭითანავა, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი,**
**დავით მირცხულავა, არჩილ ფრანგიშვილი,**
**პაატა ცინცაძე, გია არაბიძე.**

---

ანზორ ჭითანავა ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**მარინე (დოდო) ხომერიკის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს და ახლობლებს.

## სანთელი



მეუღლე კიმა სვანაძე, შვილები ნინო, ვახტანგი, შვილიშვილები ელენე, თამარი, ქეთევანი, ვახტანგი, ირაკლი, რძალი ეკა, სიძე მურმანი მწუხარებით იუწყებიან, რომ 94 წლის ასაკში გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის ყოფილი დოცენტი და დამსახურებული პედაგოგი

# ცირა მათურელი.

# წამებულნი და ღირსნი მამანი და დედანი

**გუშინ საქართველოს წმინდა მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ აღნიშნა ყველა ის წმინდანი, რომელნიც საქართველოში ეწამნენ.**



ცნობილია, რომ უამრავი ქართველი ქრისტესთვის, ეკლესიისთვის და ერის მომავლისთვის ეწამა.

24 დეკემბერი, ეს არის თარიღი, რომელიც ისტორიის ფურცლების გადახედვისას, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების გაცნობისას გვებადებინებს აზრს, რომ ზეციური საქართველო განუზომლად დიდია!

ღმერთმა იცის ჩუმად მოღვაწე იმ ერისკაცთა და დედათა შესახებ, რომლებიც დაუღალავად ჭედდნენ საქართველოს ერსა და მომავალს.

სწორედ ამ შეუძლებლობის გამო წერია 24 დეკემბრის სადღესასწაულო მოსახსენებელში, რომ საქართველოში წამებულთა ღირსთა მამათა და დედათა შორის უნდა ვიგულისხმოთ, ქართული ანბანის მიხედვით ჩამოთვლილ მამათა და დედათა ქართული წარმოშობის სახელი (ასეთი სამასამდეა!).

ტრადიციისამებრ, საზეიმო წირვის შემდეგ, ამბიონიდან მღვდელმსახურნი ტაძარში მყოფთ ასე მიმართავენ: 24 დეკემბერს ყველა თქვენგანის დღესასწაულია (რა სახელსაც არ უნდა ვატარებდეთ!).

**ყველას გილოცავთ ამ დღესასწაულს!**

**გიული ლიპარტია**

# მეხანძრე-მაშველი გიორგი ლელაშვილი დაიღუპა



**„შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მეხანძრე-მაშველის, სამოქალაქო უსაფრთხოების ლეიტენანტის, 1982 წელს დაბადებული გიორგი ლელაშვილის გარდაცვალების გამო.**

გიორგი ლელაშვილი მიმდინარე წლის 21 დეკემბერს, თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე შენობაში გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებს ასრულებდა, რა დროსაც გადმოინგრა კედელი, რასაც მეხანძრე-მაშველი ემსხვერპლა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილი მეხანძრე-მაშველის ოჯახს, ახლობლებსა და თანამშრომლებს“.

# საყოველთაო გლოვა გერმანიაში

**მაგდებურგში საშობაო ბაზრობაზე ხალხში ავტომობილის შევარდნის შედეგად დაღუპულთა რიცხვი ხუთამდე გაიზარდა, მათ შორის ერთი ბავშვია, – ინფორმაციას DW ავრცელებს.**



ბოლო ინფორმაციით, დაშავებულია 200-ზე მეტი ადამიანი, აქედან 40 ადამიანის მდგომარეობა მძიმეა.

პოლიციაში დაადასტურეს, რომ მამაკაცი, რომელიც მანქანას მართავდა, სამართალდამცველებმა დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილი 1974 წელს დაბადებული ექიმი-ფსიქიატრია საუდის არაბეთიდან. ის გერმანიაში 2006 წელს ჩავიდა და პოლიტიკური დევნილის სტატუსი აქვს...

# დედამიწას 10-სართულიანი სახლის სიდიდის ასტეროიდი უახლოვდება

**NASA**-ას ინფორმაციით, დედამიწას 10-სართულიანი სახლის სიდიდის „საშობაო ასტეროიდი“ უახლოვდება, რომელიც ჩვენს პლანეტას 24 დეკემბერს, საათში 23 736 კილომეტრის სიჩქარით ჩაუვლის.

ინფორმაციას **dailymail**-ი ავრცელებს.

**NASA**-ს ასტეროიდების მონიტორინგის სამსახურის თანახმად, ასტეროიდი 2024 **XN1**-ი დედამიწას 7,21 მილიონი კმ-ის მანძილზე უვნებლად ჩაუვლის.



მიუხედავად იმისა, რომ ასტრონომიული საზომით აღნიშნული მანძილი ახლოდ ითვლება, ექსპერტები აცხადებენ, რომ ასტეროიდის მიერ დედამიწისთვის საფრთხის შექმნის შანსები არ არსებობს.

მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ, თუ ასტეროიდი 2024 **XN1** პლანეტას დაეჯახება, დარტყმის სიმძლავრე 2 მილიონი ტონა ტროტილის ეკვივალენტური იქნება, რაც 2 000 კვადრატული კილომეტრის ფართობს გაანადგურებს.

# ანა კალანდაძის ბიუსტი ხიდისთავში



**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ანა კალანდაძის მშობლიურ სოფელ ხიდისთავში, მისივე სახელობის სკვერში, პოეტის ბიუსტი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, ღონისძიებაზე ისაუბრეს პოეტის მოგონებებზე მშობლიურ სოფელთან დაკავშირებით; ხიდისთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მისი ლექსები წაიკითხეს; ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა და კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს.

მოქალაქეებთან ერთად საღამოს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

საიუბილეო კვირეულის ფარგლებში ანა კალანდაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში მიმდინარეობს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შარაშიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი კუჭავამ ჩოხატაურელებს მიულოცეს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი, შემდეგ კი სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილესთან, ქეთევან მოისწრაფიშვილთან ერთად ყვავილებით შეამკეს პოეტის ბიუსტი.

ანა კალანდაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ხელოვნებათმცოდნე ქეთევან კუკულავა უძღვებოდა.

სკულპტურის ავტორი მოქანდაკე ჯუმბერ ჯიქიაა.

# ანსამბლებს „რუსთავსა“ და „საგალობელს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

**საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავს“ და ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულ ანსამბლ „საგალობელს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

მემორანდუმს ხელი ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით შანიძემ და ანსამბლ „საგალობელის“ დირექტორმა თამაზ დაუშვილმა მოაწერეს. მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების ფარგლებში კულტურულ-შემოქმედებითი ურთიერთობა. ასევე, აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში ხელი შეეწყობა ფოლკლორის განვითარებას და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას. ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ ანსამბლებმა ერთობლივი რეპეტიცია ჩაატარეს და რაჭული სიმღერები შეასრულეს.



# ბელგიურმა „მედეამ“ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში გაიმარჯვა!

**მედეა ჟორჟოლიანის ინფორმაციით, ანსამბლ „მედეას“ წარმოდგენილმა საკონკურსო ცეკვებმა „დავლური ქართულით“ და „მთიულური“ ჟიურის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და ანსამბლის წევრები პირველი პრემიის მფლობელები გახდნენ.**

კერძოდ, ანსამბლის ხელმძღვანელის, ქორეოგრაფ მედეა ჟორჟოლიანის ინფორმაციით, ბელგიის სამეფოს ქალაქ ანტვერპენის ქართული კულტურის ცენტრ „კავკასიონთან“ არსებულმა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა "მედეამ" ხელოვნების მსოფლიო ფესტივალ-კონკურსში მიიღო მონაწილეობა, რომელიც იტალიის ჯუზეპე ვერდის სახელობის თეატრში დეკემბრის დასაწყისში გაიმართა.

„მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლის წევრები ემიგრანტები არიან, არ ვკარგავთ ქართულ იდენტობას და ტრადიციებს. ანსამბლი „მედეა“ დღიდან დაარსებისა, იყო და არის ქართული ხელოვნების დესპანი უცხო მიწაზე. ამჯერადაც ღირსეული გამარჯვება მოვიპოვეთ. ალბათ, ამაზე დიდი ბედნიერება არც არაფერია, ამხელა მასშტაბის ფესტივალზე რომ ავაჟღერეთ საქართველოს ჰიმნი და ავაფრიალეთ საქართველოს დროშა. ტრიუმფალურად წარვდექით მაყურებლის და ჟიურის წინაშე. მადლობას ვუხდი ჩემს მოცეკვავეებს“, – განაცხადა მედეა ჟორჟოლიანმა.



მისივე თქმით, ფესტივალ-კონკურსში მონაწილეობა 600-ზე მეტმა კონკურსანტმა მიიღო, მათ შორის იყვნენ კონკურსანტები იტალიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, ბელგიიდან, სან მარინოდან, ალბანეთიდან, ხორვატიიდან და პერუდან.

**2025 წლისთვის** რა არ უნდა დადოთ სუფრაზე:

**1. მკვეთრად ცხარე საკვები**

გველის წელი სიმშვიდეს და ჰარმონიას მოითხოვს. ზედმეტად ცხარე კერძებმა შესაძლოა „ენერგეტიკული სიმშვიდე“ დაარღვიოს.

**2. მძიმე კერძები**

გველი სიმბოლურად მოხერხებულობას და მოქნილობას წარმოადგენს. სუფრის საკვები უნდა იყოს მსუბუქი და სასიამოვნო, რათა წელი ენერგიით დაიწყოთ.

**3. ძველი ან გაფუჭებული პროდუქტი**

2025 წელი, როგორც ხის ელემენტის ნაწილი, ზრდისა და ახალი შესაძლებლობების სიმბოლოა. ამიტომ ყველაფერი, რაც ახალს და სუფთას არ ასახავს, სუფრაზე არ უნდა იყოს.

**4. ნეგატიური ფორმის ან ფერის საკვები**

გველის წელი მოითხოვს პოზიტიურ ენერგიას. მაგალითად, შავი ან ნაცრისფერი კერძები შეიძლება უარყოფით ასოციაციას იწვევდეს.

თუ გსურთ, 2025 წლის საახალწლო სუფრა ჰარმონიულად და ენერგეტიკულად დადებითად იყოს მოწყობილი, ყურადღება მიაქციეთ სიმბოლოებს, ნათელ ფერებსა და ჯანსაღ პროდუქტებს.

# კერძები, რომელიც საახალწლო სუფრაზე არ უნდა დადოთ



# „ყველაზე გემრიელ სამზარეულოს“ ახალი ლიდერი ჰყავს

**მსოფლიოს ყველაზე გემრიელი სამზარეულოს რეიტინგს ახალი ლიდერი ჰყავს. ბერძნული სამზარეულო 2024 წელს მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარეს, რითაც პირველი ადგილიდან დიდი ხნის ლიდერი იტალია ჩამოიშორა.**

TasteAtlas-ის უახლესი რეიტინგის მიხედვით, წელს ბერძნულმა სამზარეულომ 5-დან 4,6 ქულა დააგროვა – ეს ოდნავ დაბალია, ვიდრე ერთი წლის წინათ, მაგრამ მაინც საკმარისია იმისთვის, რომ გახდეს ლიდერი. გასულ წელს ბერძნულმა სამზარეულომ მესამე ადგილი დაიკავა, წინა წელს კი მეორე ადგილი.

კერძოდ, ექსპერტები გვირჩევენ, გავსინჯოთ საბერძნეთში ისეთი კერძები, როგორიცაა ზეითუნის ზეთი, ფისტა, კარამელის ყველი „გრავიერა“ და მრავალი სხვა.

იმავდროულად, იტალიური სამზარეულო, რომელმაც შარშან და წინა წელს გაიმარჯვა, ამჯერად მეორე ადგილზე გავიდა ძალიან მცირე სხვაობით – მას აქვს 4,59 ქულა 10-დან.

საუკეთესო სამეული დაასრულა მექსიკურმა სამზარეულომ, რომელიც ერთი წლით ადრე მეშვიდე ადგილზე იყო. ახლა მას 5-დან 4,52 ქულა აქვს.



ნახეთ, 10 ყველაზე გემრიელი ეროვნული სამზარეულო მსოფლიოში:

ბერძნული, იტალიური, მექსიკური, ესპანური, პორტუგალიური, თურქული, ინდონეზიური, ფრანგული, იაპონური, ჩინური.

# პირველი ბავშვი – ფერტილოს პროცედურის გამოყენებით

**მსოფლიოში პირველი ბავშვი დაიბადა ფერტილოს პროცედურის გამოყენებით. ასეთ დროს კვერცხუჯრედები სხეულის გარეთ მწიფდება ღეროვანი უჯრედების ტექნოლოგიის გამოყენებით.**




Gameto-ს მიერ შემუშავებული განაყოფიერების ახალი ტექნოლოგია გთავაზობთ უფრო სწრაფ, უსაფრთხო და უფრო ხელმისაწვდომ ალტერნატივას ტრადიციულ IVF-სთან შედარებით (ინ ვიტრო განაყოფიერება).

პროცედურის დროს იყენებენ ე.წ. საკვერცხის დამხმარე უჯრედებს, რომლებიც მიიღება ადამიანის მიერ გამოწვეული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედებიდან, რათა დაეხმაროს მოუმწიფებელ კვერცხუჯრედებს ლაბორატორიაში მომწიფებაში.

როგორც ექიმები ამბობენ, ინ ვიტრო განაყოფიერებისგან განსხვავებით, Fetrilo მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კვერცხუჯრედის მომწიფებას და ემბრიონის ფორმირებას, 2023 წლის კვლევის საფუძველზე. კომპანია აცხადებს, რომ ეს პროცედურა გამორიცხავს ტრადიციული IVF-სთვის საჭირო ჰორმონალური ინიექციების 80%-ს და ამცირებს მკურნალობის ციკლს სულ რაღაც სამ დღემდე.

**უცხოური ვალუტის კურსი:**

**აშშ დოლარი - 2.8082; ევრო - 2.9174;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5133;**
**100 რუბლი - 2.7198; თურქული ლირა - 0.0798;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6515;**
**1000 სომხური დრამი - 7.1094.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 25 დეკემბერს**